



შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ხელშეწყობა

პროექტის ნომერი BSB-1145



რეგიონული სამოქმედო გეგმები

შავი ზღვის აუზში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული
გამოცდილებითი ტურიზმის წახალისებისთვის

COMMON BORDERS. COMMON SOLUTIONS.



*შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული
გამოცდილებითი ტურიზმის ხელშეწყობა*

პროექტის ნომერი BSB-1145

რეგიონული სამოქმედო გეგმები

შავი ზღვის აუზში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი
ტურიზმის წახალისებისთვის

მარტი 2021 წ.



ავტორები და მონაწილეები:

ვარნას მართვის უნივერსიტეტი

რეგიონული სამოქმედო გეგმა: შავი ზღვის აუზის რეგიონი

თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი

რეგიონული სამოქმედო გეგმა: საბერძნეთი

City_Space_Flux კვლევითი ჯგუფი

ათენა იანაკუ, პროფესორი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
ანგელინა აპოსტოლუ, მკვლევარი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
ვასილიკი ბირუ ანათანასიუ, მკვლევარი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
აპოსტოლოს პაპაგიანიკის, ასოცირებული პროფესორი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, PRO-EXTOUR პროექტის კოორდინატორი
მონაწილეები:

კონსტანტინა დიმიტრა სალატა, მკვლევარი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი
ათინა ვიტოპულო, ასისტენტ პროფესორი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

რეგიონული სამოქმედო გეგმა: საქართველო

ლელა ხართიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, PRO-EXTOUR პროექტის ექსპერტი/მკვლევარი ტურიზმის საკითხებში
მარიამ დვალიშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, PRO-EXTOUR პროექტის მენეჯერი
ნათია ტრაპაძე, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, PRO-EXTOUR პროექტის კოორდინატორი
მარიამ კახნიაშვილი, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი, PRO-EXTOUR პროექტის ასისტენტი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეგიონული სამოქმედო გეგმა: სომხეთი

გორ ალექსანიანი, ასოცირებული პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი
სეირან სუვარიანი, ასოცირებული პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი
ალექსანდრე მაკაროვი, პროფესორი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, PRO-EXTOUR პროექტის კოორდინატორი

კულინარიული ხელოვნებისა და მასპინძლობის ასოციაცია

რეგიონული სამოქმედო გეგმა: ბულგარეთი



Common borders. Common solutions.



საავტორო უფლებები დაცულია © 2020 PRO EXTOUR პროექტი
ყველა უფლება დაცულია. ნებადართულია მთლიანი პუბლიკაციის ან მისი ნაწილის რეპროდუცირება
და გავრცელება, გარდა კომერციული მიზნებისთვის, იმ პირობით, რომ პროექტის პარტნიორობა
მითითებული უნდა იყოს, როგორც წყარო.

ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის
შინაარსზე პასუხისმგებელი არიან მხოლოდ ავტორები და ის არც ერთ შემთხვევაში არ უნდა
იქნას მიჩნეული, როგორც ევროკავშირის შეხედულებების ამსახველი.



სარჩევი

აკრონიმები.....	7
წინასიტყვაობა.....	8
რეგიონული სამოქმედო გეგმა: სომხეთი.....	10
სომხეთის რესპუბლიკაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის (HCBET) საჭიროება, ხედვა და მიზნები	10
სომხეთის რესპუბლიკის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების SWOT ანალიზი.....	11
შესაძლო სტრატეგიული ქმედებები სომხეთის რესპუბლიკის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პოლიტიკის შემუშავების უზრუნველსაყოფად.....	16
დასკვნები	25
რეგიონული სამოქმედო გეგმა: ბულგარეთი	26
მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი ბულგარეთში. მიმდინარე სიტუაცია და განვითარების გზები.....	26
ქვეყანაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საჭიროებათა ანალიზი	27
პოლიტიკის შესაძლო ვარიანტების ჩამოყალიბება.....	34
დასკვნები	37
რეგიონულ საჭიროებათა შეფასების ანგარიში: საქართველო	39
მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარება საქართველოში.....	39
საქართველოში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საჭიროებების ანალიზი (SWOT)	40
პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები	44
სტრატეგიული ხედვა, მიზნები და სამოქმედო გეგმა	46
დასკვნები	47
რეგიონული სამოქმედო გეგმა: საბერძნეთი.....	52
მიმდინარე სიტუაცია: ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები	52
სტრატეგიული პრიორიტეტები, ამოცანები და ქმედებები.....	56
სავარაუდო ფინანსური რესურსები და დაინტერესებული მხარეები.....	68



პირითადი დაინტერესებული მხარეები..... 70

რეგიონული სამოქმედო გეგმა: შავი ზღვის აუზის რეგიონი..... 72

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი შავი ზღვის აუზის რეგიონში 72

შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის SWOT ანალიზი..... 74

შესაძლო სტრატეგიული ქმედებები შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისა და ზრდისთვის 79

დასკვნები 89

გამოყენებული მასალები 90



აკრონიმები

BSB	შავი ზღვის აუზი
DMO	ადგილის მართვის ორგანიზაცია
GACC	ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
GNTA	საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
HCBET	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი
MEPA	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
NAR	საჭიროებათა შეფასების ანგარიში
NGO	არასამთავრობო ორგანიზაციები
PPP	საჯარო, კერძო ამხანაგობები
RA	სომხეთის რესპუბლიკა
RAP	რეგიონული სამოქმედო გეგმა
STE	მცირე ტურისტული საწარმო
SWOT	საჭიროებათა ანალიზი
TO	ტურ-ოპერატორები
UNESCO	გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
UNTWO	ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია



წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს ხუთ რეგიონულ სამოქმედო გეგმას სომხეთში, ბულგარეთში, საქართველოსა და საბერძნეთში (როგორც PRO EXTOUR პროექტში წარმოდგენილ ქვეყნებში) და ზოგადად მთელ შავი ზღვის აუზში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის წასახალისებლად. სამოქმედო გეგმები ეფუძნება საერთო სტრუქტურას და ფოკუსირებულია ინტეგრირებული ელემენტების ნაკრებზე, როგორცაა, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისა და მარეგულირებელ რეჟიმების მიმდინარე სიტუაციის, საჭიროებათა ანალიზების, რეფორმისთვის პოლიტიკის ვარიანტებისა და მიმართულებების, ასევე სამომავლო განვითარების ხედვების მიმოხილვა.

რეგიონული სამოქმედო გეგმები დაფუძნებულია რეგიონული საჭიროებების ვრცელ შეფასებაზე, რომელიც 2020-2021 წლებში იქნა ჩატარებული PRO EXTOUR-ში ჩართული ექსპერტების მიერ და ითვალისწინებს შესაბამის მონაცემებსა და დასკვნებს, რომლებიც მიღებულია მიზნობრივი პირველადი და მეორადი კვლევიდან, ასევე პოლიტიკის ანალიზიდან. საჭიროებათა შეფასებამ გამოავლინა განვითარების მრავალი საერთო სირთულე, დაინტერესებულ მხარეთა წინაშე არსებული მსგავსი სირთულეები და მსგავსი ნაკლოვანებები მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული პოლიტიკის შემუშავებასა და სტრატეგიულ დაგეგმვაში. განხორციელებადი რეფორმის წინადადებების ჩამოსაყალიბებლად, ექსპერტთა გუნდმა გადაწყვიტა სამოქმედო გეგმების შემუშავება ქვეყნების მიხედვით და შემდეგ შესაძლო რეგიონული ოპერირების ამოღება ცალკე თავში. რეგიონული სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, ასევე გათვალისწინებული იყო განხილულ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი და შიდა რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

დოკუმენტის ბოლო თავი მოიცავს შემაჯამებელ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც შეესაბამება შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ტერიტორიისა და რეგიონის სპეციფიკას, ასევე პოლიტიკის შეთავაზებებს კოორდინირებული ქმედებებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებას.

დოკუმენტი ხელმისაწვდომია ინგლისურ, სომხურ, ბულგარულ, ქართულ და ბერძნულ ენებზე.

PRO EXTOUR და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი

მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი (HCBET) არის სოციალურად და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი სამოგზაურო საქმიანობისა და მომსახურებების ერთობლიობა, რომელიც სთავაზობს დაუვიწყარ გამოცდილებებსა და მემკვიდრეობისა და კულტურის ინტერპრეტაციას, რასაც მოგზაურები საკუთარი თავის აღმოჩენისკენ, ახალი ცოდნის შეძენისა და შთაგონებისკენ მიჰყავს.



HC BET ეხმარება არამხოლოდ მოგზაურებს შეიქნონ ისტორია, ხალხი და კულტურა, არამედ თავად ადგილობრივ მოსახლეობასაც საკუთარი კულტურული ფასეულობების აღქმასა და დაფასებაში. შესაბამისად, იგი ხელს უწყობს მემკვიდრეობისა და კულტურის შენარჩუნებას ყოველდღიურობაში და რესურსების მდგრად გამოყენებას, რაც დამატებით ღირებულებასა და სარგებელს მატებს მთლიან რეგიონს და მასპინძელ თემს.

PRO EXTOUR პროექტი მიზნად ისახავს შავი ზღვის აუზში გამოცდილებითი ტურიზმის, როგორც ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარების საშუალების ხელშეწყობას ადგილობრივი მემკვიდრეობისა და კულტურის პოტენციალის ღირებულების ამაღლებით, ინოვაციური გადაწყვეტებითა და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობით.



რეგიონული სამოქმედო გეგმა: სომხეთი

სომხეთის რესპუბლიკაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის (HCBET) საჭიროება, ხედვა და მიზნები

როგორც კვლევამ აჩვენა, ბოლო წლებში, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულმა გამოცდილებითმა ტურიზმმა სწრაფი განვითარება დაიწყო. ამგვარი განვითარება განპირობებულია რიგი ობიექტური ფაქტორებით, კერძოდ, სომხეთის მიმართ საერთაშორისო ტურიზმის ინტერესების ზრდით, ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციებით, ტურიზმის სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადებით, სომხეთის რესპუბლიკის მდიდარი მატერიალური და არამატერიალური ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებით.

ზოგადად, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სომხეთისთვის, რადგანაც მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით მისი განვითარების შემთხვევაში, სომხეთის რესპუბლიკის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა დაცული იქნება და ამავდროულად გახდება ტურისტული რესურსი და სომხური კულტურის გლობალიზაციის წინაპირობა. ამის შედეგად, სომხეთის რესპუბლიკას შეუძლია თავისი კულტურის „ექსპორტი“ განახორციელოს მისი საკუთარი ლოკაციიდან კულტურის მოცილების გარეშე და უზრუნველყოს სომხეთში ტურიზმის დაბალანსებული სივრცული განვითარება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების **ხედვა** შემდეგში მდგომარეობს: სომხეთის რესპუბლიკის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერნაციონალიზაციისა და საჯაროების დონის ამაღლება და სომხეთის რესპუბლიკისთვის კულტურაზე დაფუძნებული საერთაშორისო ტურიზმის იმიჯის შექმნა.

ამ ხედვის ფარგლებში, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების **მიზნები** ითვალისწინებს ქვემოთ ჩამოთვლილის ხელშეწყობას:

- სომხეთის რესპუბლიკის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოყენება მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სფეროში თვითდასაქმებულთა რაოდენობის ზრდა,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სივრცული დაბალანსებული განვითარება,
- სომხეთის რესპუბლიკაში ტურიზმის კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება.



სომხეთის რესპუბლიკის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების SWOT ანალიზი

სომხეთის რესპუბლიკაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების საჭიროებების განსაზღვრისთვის ჩატარებული კვლევის საფუძველზე, წარმოდგენილია მისი განვითარების ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები.

ძლიერი მხარეები

- სომხეთში ტურიზმის პროგრესული განვითარება ბოლო 20 წლის განმავლობაში,
- სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის პრიორიტეტული მიმართულება,
- ტურიზმისთვის ცალკე კანონის არსებობა,
- საქართველოსა და ირანთან საზღვარი და სატრანზიტო სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა,
- ფიქსირებული შიდა ტურიზმის მიმართულებების არსებობა,
- ძლიერი სომხური დიასპორის არსებობა წამყვან ქვეყნებში შიდა ტურისტების ვიზიტებით,
- სომხეთის კულტურული მემკვიდრეობით, კერძებითა და სტუმართმოყვარეობით განპირობებული შიდა და გარე ტურისტების ვიზიტების დომინირება,
- სომხეთის რესპუბლიკის ათასწლიანი ისტორია და მდიდარი მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (ეროვნული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რიტუალები, მუსიკა, ცეკვები, დამწერლობა და ლიტერატურა, სამხარეულო, სომხური სტუმართმოყვარეობა, სომხური ოჯახური და ნათესაური კავშირები),
- პირველი სახელმწიფო, რომელმაც მიიღო ქრისტიანობა, როგორც სახელმწიფო რელიგია,
- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში,
- ცნობადობა საერთაშორისო ტურიზმის ბაზარზე სომხეთის რესპუბლიკის კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით,
- უკვე ჩამოყალიბებული და შედარებით განვითარებული რელიგიური (ისტორიულ-კულტურული), ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმი,
- სომხეთის რესპუბლიკის მრავალფეროვანი კლიმატური პირობები და მათი გავლენით, სომხეთის რესპუბლიკის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი ცვლილებები,
- სახელმწიფო სტრუქტურის არსებობა, რომელიც კოორდინაციას უწევს სომხეთის რესპუბლიკაში ტურიზმის სექტორის მართვას,
- ეროვნული და ადგილობრივი ტურიზმის საჯარო ორგანიზაციების არსებობა,
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი დადებითი ცვლილებები სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის ინდუსტრიაში, რაც გამოიხატება ტურისტული

Common borders. Common solutions.

ოპერატორების/სააგენტოების, ღამის გასათევი და კვებით უზრუნველყოფის საწარმოების, ტურიზმის სატრანსპორტო და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების ფორმაში,

- ერევნის ფარგლებს გარეთ განთავსებისა და კვების საწარმოების რაოდენობის ზრდა,
- საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საინვესტიციო პროგრამების განხორციელება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მომსახურების შეთავაზებები 60-მდე საწარმოს მიერ ერევნის ფარგლებს გარეთ,
- საფესტივალო ტურიზმის განვითარება რაც ასევე ეფუძნება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებებს,
- შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციები კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიულ-კულტურული ნაკრძალებისა და მუზეუმ-ნაკრძალების დასაცავად,
- ის ფაქტი, რომ ამ ტურიზმში ჩართული საწარმოები ასევე წარმოადგენს საოჯახო საწარმოებს (რაც გრძელვადიან ბიზნეს საქმიანობას უზრუნველყოფს),
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარება, რომელიც უკვე დაფუძნებულია მდგრადი ტურიზმის პრინციპებზე.

სუსტი მხარეები

- სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურების (ასოციაციების, კავშირებისა და ა.შ.) არსებობა, რომლებიც კოორდინაციას უწევს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმს,
- ღამის გასათევი ობიექტების არათანაბარი განაწილება, რომელთა უმეტესობაც განთავსებულია ერევანში,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორის ერთიანი მართვის სისტემის არარსებობა,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორის მართვისთვის „ქვემოდან ზემოთ“ მოდელის არარსებობა,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორითა და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმით დაინტერესებულ მხარეებს (სახელმწიფო, კერძო სტრუქტურები, განათლება/მეცნიერება) შორის თანამშრომლობის ნაკლებობა,
- ტურიზმისა და ტურისტული საქმიანობის შესახებ სომხეთის რესპუბლიკის არსებული კანონის შეუსაბამობა ტურიზმის მიმდინარე მოთხოვნებთან,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორში მომუშავე ორგანიზაციების ლიცენზირების არარსებობა,
- სომხეთში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის არარსებობა,
- სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის სექტორის სუსტი საგარეო მარკეტინგული პოლიტიკა,

- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მიერ შეთავაზებულ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებს შორის სომხეთის ეროვნული ტრადიციული თამაშების დაბალი ჩართულობა,
- სომხეთში ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მნიშვნელობის ზოგადი გაგების არარსებობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მომსახურების ორგანიზებისა და გაწვევისთვის ადგილობრივების უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების არარსებობა
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნეს სტანდარტებისა და ლიცენზირების არარსებობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ერთიანი მარკეტინგული პოლიტიკის არარსებობა სახელმწიფო დონეზე,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შესახებ სისტემატიური სახელმწიფო სტატისტიკის არარსებობა,
- ხშირი შეუსაბამობა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების მიერ შეთავაზებული მომსახურების ფასსა და ხარისხს შორის,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების არასრული ჩართულობა ან არარსებობა ადგილობრივი ტურისტული ოპერატორების/აგენტების ტურისტული პაკეტების შეთავაზებებში,
- სომხეთის რესპუბლიკის უნივერსიტეტებში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების თანამშრომელთა მიერ ხშირად არასაკმარისი ენის ცოდნა და უნარ-ჩვევები,
- სუსტი თანამშრომლობა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოებს შორის, ასევე სომხეთის რესპუბლიკის ტუროპერატორებთან/სააგენტოებთან,
- სუსტი თანამშრომლობა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების სუსტი ციფრული წარმოდგენა,
- სახელმწიფო სტანდარტებისა და გაიდლაინების არარსებობა ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე საწარმოებისთვის, რომლებიც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებს უზრუნველყოფენ,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების სახელმწიფო კონცეფციის, სტრატეგიისა და პროგრამების არარსებობა



- შიდა ტურისტების საჭიროებები და მახასიათებლები თითქმის არაა გათვალისწინებული მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებში,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული პირებისთვის სპეციალიზებული ტრენინგ-ცენტრების/საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების მიერ ბავშვებისთვის მომსახურების შეთავაზების ნაკლებობა ან არარსებობა.

შესაძლებლობები

- შიდა ტურიზმში, მეგობრების, ნათესავების სახლში ან ნაქირავებ ბინებში ღამისთვის სიხშირე სასტუმროს ტიპის საწარმოებთან (სასტუმროები, კურორტები, დასასვენებელი სახლები) შედარებით,
- სომხური კულტურის მატარებელი სომხური დიასპორის არსებობა,
- სომხეთის არამატერიალური კულტურული ღირებულებები, რომლებიც ჯერ არაა შეტანილი მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის აქტივობებში,
- მცირე სასტუმროების მშენებლობა, განსაკუთრებით რეგიონებში, ასევე სასოფლო თემებში ან სოფლების ტერიტორიაზე, რომლებიც მდიდარია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობით,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში გასტრონომიული ტურიზმის შეთავაზებების შემუშავება, რაც განპირობებულია არა მხოლოდ მდიდარი სამზარეულოთი, არამედ ეკოლოგიურად სუფთა საკვებითაც,
- სომხეთის რესპუბლიკის სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის სფეროში მოღვაწეობენ,
- ტრადიციული სომხური სტუმართმოყვარეობა,
- ადგილობრივების თანამშრომლობა მათ საკუთარ ტურისტულ პროდუქტებთან და ადამიანურ, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებთან, საწარმოებთან, რომლებიც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მომსახურებას გასწევენ,
- შიდა ტურიზმის ახალი მიმართულებები სომხეთის რესპუბლიკისთვის,
- სომხეთის რესპუბლიკის შიდა ტურისტების მიერ მასტერ-კლასებისა და ეროვნული წარმოდგენების საჭიროებები,
- ინოვაციური მიდგომები მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების მიერ,
- რეგიონული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების შემუშავება,
- თანამედროვე საინფორმაციო და ციფრული ტექნოლოგიების შემუშავება.



საფრთხეები

- COVID-19 პანდემიით შექმნილი სიტუაცია, იმ შიდა ტურისტული ნაკადების შეწყვეტის ან შემცირების ფორმით, რომლებიც ითვლება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ძირითად ბაზრად, ასევე არსებული შეზღუდვები,
- სომხეთის სატრანსპორტო და ეკონომიკური ბლოკადა ორი მეზობელი ქვეყნის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ, მათ მიერ წამოწყებული ომი და დამაბულობა სახელმწიფოთაშორის საზღვრებზე,
- ადგილობრივი კულტურის შესაძლო კომერციალიზაცია, მერკანტილიზაცია და კოლონიზაცია,
- კულტურული ღირებულებების არასწორი წარმოდგენა და არასწორი ინტერპრეტაცია (შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ნაკლებობის გამო),
- დროთა განმავლობაში ტურისტების კულტურული არჩევანის ცვლილება,
- კონფლიქტების ალბათობა ადგილობრივებსა და ვიზიტორებს შორის კულტურული განსხვავებების გამო,
- კონკრეტულ გამოცდილებებში მონაწილეობის დროს საკვებით მოწამვლისა და ფიზიკური ტრავმის მიღების ალბათობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების მარკეტინგული პოლიტიკის შეუსაბამობების ალბათობა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოებში შესაძლო არასამართლიანი საბაზრო კონკურენცია.



შესაძლო სტრატეგიული ქმედებები სომხეთის რესპუბლიკის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პოლიტიკის შემუშავების უზრუნველსაყოფად

#	სტრატეგიული ქმედება	სტრატეგიული ქმედების მიზან(ებ)ი	სტრატეგიული ქმედების შესაძლო შედეგ(ებ)ი	სტრატეგიულ ქმედებაზე შესაძლო პასუხისმგებელი მხარე(ებ)ი/რესურსები
1.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის ახსნა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში მონაწილე მხარეებისთვის სახელმწიფო მიდგომის გასაგებობის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შემუშავებული სახელმწიფო კონცეფცია, სტრატეგია და პროგრამა 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი
2.	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმისა და ტურისტული საქმიანობის შესახებ ახალი კანონის პროექტში მუხლების დამატება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სამართლებრივი რეგულირების დონის ამაღლება და სამართლებრივი საფუძვლის შემუშავება 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული კომპანიებისთვის უფრო მეტად დარეგულირებული 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი

Common borders. Common solutions.





			სამართლებრივი საბაზრო ურთიერთობები	
3.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული საწარმოებისთვის ეროვნული სტანდარტებისა და ლიცენზიების შემუშავება/განხორციელება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება • არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის გაუმჯობესებული ხარისხი • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შესახებ სისტემატიზებული სტატისტიკა 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკის სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული ორგანო სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
4.	სომხეთის რესპუბლიკის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის არსებული ცოდნის გაძლიერება და სისტემატიური სწავლა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის გაძლიერებული სამეცნიერო ბაზა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

Common borders. Common solutions.





Project funded by
EUROPEAN UNION



	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება	განვითარებისთვის საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზების შექმნა	საყოველთაოდ მიღებული აღქმის განვითარება და გავრცელება <ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სახელმძღვანელოს დაწერა სომხურ ენაზე - „გამოცდილებითი ტურიზმის ფუნდამენტური საკითხები“ • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ტრენინგ ცენტრის დაფუძნება 	სომხეთის რესპუბლიკის სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
5.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული საწარმოებისთვის გამოცდილებითი ტურიზმის რისკების მართვის სახელმძღვანელოს შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის უსაფრთხოების დონის ზრდა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების გრძელვადიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების საქმიანობის 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისთვის სხვადასხვა სარისკო სიტუაციების სპეციალური გაიდლაინების შემუშავება • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი

Common borders. Common solutions.





		მდგრადობის ხელშეწყობა ფორს-მაჟორულ გარემოებებში	გაუმჯობესებული მდგრადობა	საგანმანათლებლო დაწესებულებები
6.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონული შეთავაზებებისა და პროექტების შექმნა სომხეთისა და საქართველოს მოსაზღვრე რეგიონებში	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის სფეროში რეგიონთაშორისი თანამშრომლობის დონის ზრდა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონთაშორისი პაკეტების შექმნა 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სომხურ-ქართული ერთობლივი საწარმოების/ორგანიზაციების ჩამოყალიბება • მომატებული რეგიონთაშორისი ტურისტული ნაკადები 	სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობები სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტები სომხეთის რესპუბლიკისა და საქართველოს ტუროპერატორები
7.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებების ინტერნაციონალიზაცია სომხური დიასპორის დახმარებით	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების შესახებ ინფორმირებულობის ზრდა სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ • სომხეთის რესპუბლიკასა და სომხურ დიასპორას შორის თანამშრომლობის დივერსიფიკაცია • სომხეთის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრები სომხების რეგულარული 	<ul style="list-style-type: none"> • სომხეთის რესპუბლიკის გაზრდილი ტურისტული იმიჯი სამიზნე ტურიზმის ბაზრებზე (ქვეყნებში) და გაზრდილი შიდა ტურისტული ნაკადები • სომხურ დიასპორაში სომხური კულტურული ღირებულებების გადაფასება 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი კომისრის სამსახური სომხური დიასპორის ორგანიზაციების დიასპორის საკითხებში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოები

Common borders. Common solutions.





		დაკავშირება მათ კულტურულ ფესვებთან		
8.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების შექმნა ქრისტიანულ კულტურულ ღირებულებებზე დაყრდნობით	<ul style="list-style-type: none"> • სომხეთის რესპუბლიკის როლის ზრდა ქრისტიანულ სამყაროში • სომხეთის რესპუბლიკის ტურისტულ შეთავაზებებში ქრისტიანული არამატერიალური კულტურული ღირებულებების ჩართულობის ზრდა 	<ul style="list-style-type: none"> • მჭიდრო თანამშრომლობა ქრისტიანულ ქვეყნებთან ახალი, ტურისტული შეთავაზებების ფორმით 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის სამოციქულო ეკლესია სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი კომისრის სამსახური სომხური დიასპორის ორგანიზაციების დიასპორის საკითხებში სომხეთის რესპუბლიკის საელჩოები
9.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებისა და მომსახურების ადაპტირება შიდა ტურისტების საჭიროებებთან	<ul style="list-style-type: none"> • შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა • შიდა ტურიზმის ნაკადებზე მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის დამოკიდებულების შემცირების ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> • ახალი ტურისტული შეთავაზებების შექმნა შიდა ტურისტების თავისებურებების გათვალისწინებით 	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოები



Project funded by
EUROPEAN UNION



10.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების „სეირნობის“ ფესტივალის ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> • სომხური ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> • გაზრდილი შიდა და გარე ტურისტული ნაკადები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით გეოგრაფიული გადანაწილება • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ახალი შეთავაზებების შექმნა 	სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი რეგიონული მთავრობები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კერძო/საჯარო ორგანიზაციები, რომლებიც ფესტივალების ორგანიზებას ახდენენ
11.	„სომხეთის გამოცდილებითი ტურიზმის ასოციაციის“ ჩამოყალიბება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართულ კომპანიებს შორის თანამშრომლობის დონის ზრდა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების ინტერნაციონალიზაციის დონის ზრდა 	<ul style="list-style-type: none"> • ახალი თვისებები და პლატფორმები ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობისთვის 	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოები

Common borders. Common solutions.





Project funded by
EUROPEAN UNION



12.	„ინოვაციური გამოცდილებითი ტურიზმის“ ყოველწლიური სემინარის ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართულ მხარეებს (სახელმწიფო, კერძო, საერთაშორისო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საჯარო) შორის თანამშრომლობის დონის ზრდა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პრობლემებისა და პერსპექტივების განსაზღვრა 	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლობის ახალი მიმართულებებისა და დონეების შექმნა და განვითარება 	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი
13.	გამოცდილებების შექმნა და განვითარება სომხური ეროვნულ-ტრადიციული თამაშების, სიმღერებისა და მუსიკის საფუძველზე	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში სომხეთის რესპუბლიკის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური ჩართულობის დონის ზრდა 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ახალი შეთავაზებების შექმნა 	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოები სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და ეროვნული სააგენტოები

Common borders. Common solutions.





Project funded by
EUROPEAN UNION



14.	<p>სომხეთში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებებთან დაკავშირებული პროგრამების მომზადება უცხო ენებზე ტელევიზიისა და სხვა საკომუნიკაციო არხებით, საზიარო ეკონომიკის მიდგომით</p>	<ul style="list-style-type: none"> • სომხეთის რესპუბლიკის საერთაშორისო ტურისტული იმიჯის გაუმჯობესება • სომხეთის რესპუბლიკის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებების ინტერნაციონალიზაციის ზრდა 	<ul style="list-style-type: none"> • სატელევიზიო და სხვა საკომუნიკაციო არხებზე უცხოენოვანი გადაცემების შექმნა სომხური სამზარეულოს, სიმღერების, მუსიკის, რეწვის, ხელოვნებისა და ა.შ. შესახებ 	<p>სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი სომხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო და კერძო ტელევიზიები არასამთავრობო ორგანიზაციები, კავშირები, ასოციაციები, რომლებიც მუშაობენ არამატერიალური მემკვიდრეობის სფეროში სომხეთის რესპუბლიკის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ბლოგერები სომხეთში</p>
-----	--	--	--	--



Project funded by
EUROPEAN UNION



15.	„საუკეთესო გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზების“ ყოველწლიური დაჯილდოვების ცერემონიის ორგანიზება	<ul style="list-style-type: none"> • სომხეთის რესპუბლიკაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული პირების მოტივირება 	<ul style="list-style-type: none"> • მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მოტივირებული გარემო • ახალი თანამშრომლობა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მონაწილე მხარეებს შორის 	სომხეთის რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტი
-----	---	---	--	--



დასკვნები

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი შეიძლება ჩათვალოს ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად სომხეთისთვის ინოვაციური მიდგომებით. მისი მდგრადი განვითარების საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ტურიზმის დაბალანსებული ტერიტორიული განვითარების უზრუნველყოფა.

ამჟამად, სომხეთის რესპუბლიკაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები მიმართული უნდა იყოს:

- ✓ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და დაზუსტებაზე,
- ✓ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმით დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის აქტივობების ორგანიზებაზე,
- ✓ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული სომხეთის კულტურული ღირებულებების მდგრად გამოყენებასა და დაცვაზე,
- ✓ რეგიონულ და საერთაშორისო თანამშრომლობასა და საინვესტიციო პროგრამების განხორციელებაზე მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ფარგლებში,
- ✓ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმში ჩართული მხარეების შესაბამისი პროფესიული თვისებების განვითარებაზე,
- ✓ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისთვის სისტემატიზებული საგანმანათლო და სამეცნიერო საფუძვლის შექმნაზე.



რეგიონული სამოქმედო გეგმა: ბულგარეთი

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი ბულგარეთში. მიმდინარე სიტუაცია და განვითარების გზები

ბულგარეთს ჩამოყალიბებული ტრადიციები აქვს ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში, ხოლო სამოგზაურო სექტორი პრიორიტეტადაა აღიარებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების დღის წესრიგში. ქვეყანას მდიდარი რესურსები და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა აქვს. გარდა ამისა, ბულგარეთი მესამე ადგილზეა ევროპაში კულტურული და ისტორიული ძეგლების რაოდენობის მიხედვით და იუნესკოს მემკვიდრეობის 10 ძეგლის სამშობლოა. აშკარაა, რომ ქვეყანას რეალიზებული აქვს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების პოტენციალი.

სახელმწიფო დონეზე, სამოგზაურო, ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიას ბულგარეთში არეგულირებს ტურიზმის სამინისტრო, ეროვნულ ტურისტულ საბჭოსთან, როგორც საკონსულტაციო ორგანოსთან ერთად. ადგილობრივ დონეზე, რაიონული მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ტურიზმის პოლიტიკას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე ჩართულია რიგი პროფესიონალური, რეგიონალური, სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა, როგორცაა, ბულგარეთის ტურიზმის პალატა, რეგიონული ტურისტული პალატები, ბულგარეთის სასტუმროების ასოციაცია, ბულგარეთის ალტერნატიული ტურიზმის ასოციაცია და ა.შ. ტურიზმის მართვის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო დოკუმენტია ტურიზმის შესახებ აქტი (Ivanov & Dimitrova, 2013).

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი მდგრადი ტურიზმის შეთავაზების ნაწილია, რომელიც პრიორიტეტადაა განსაზღვრული ტურიზმის სამინისტროს მუშაობაში, რის შედეგადაც მომზადებული და საჯარო განხილვისთვის შეთავაზებულია მდგრადი ტურიზმის განვითარების 2014-2030 წლების ეროვნული სტრატეგია.

მიუხედავად იმისა, რომ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი არაა კონცეპტუალიზებული და განსაზღვრული კონკრეტული ტერმინის სახით, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მსგავსი ზოგიერთი პროდუქტი დიდი ხნის წინ იქნა შემუშავებული და ბაზარზე წარმოდგენილი. მაგალითად, კულტურული, სასოფლო, ფოლკლორული, კულინარიული ღონისძიებები და ტურიზმის სხვა ე.წ. „ალტერნატიული“ ფორმები, შეიძლება წარმოადგენდეს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პრაქტიკულ მაგალითებს, რადგანაც ისინი ასახავს მსგავს რესურსებს და ისახავს საერთო მიზნებს.

მრავალი კერძო ტურ-ოპერატორი აწარმოებს და სთავაზობს კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ტურიზმის პროდუქტებს. მუნიციპალიტეტები და რეგიონული ორგანოები ასევე იყენებენ ძალისხმევას მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული





გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის, ძირითადად პროექტზე დაფუძნებული აქტივობების ფარგლებში. სახელმწიფო დონეზე, ტურიზმის სამინისტრომ შეიმუშავა კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ტურიზმის 22 მარშრუტი. მაგალითები მოიცავს „ბულგარეთის საზღვაო ციხე-სიმაგრეების“ მარშრუტს, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ და მოიცავს ოცზე მეტ მემკვიდრეობის ძეგლსა და ღირშესანიშნაობებს ან „ბულგარეთის მეფეებისა და პატრიარქების დედაქალაქებსა და ქალაქებს“, რომლებიც ქვეყნის ცენტრალურ-ჩრდილო ნაწილშია განთავსებული. კიდევ ერთი მაგალითია მარშრუტი „ვარდების ხეობა და თრაკიელი მეფეები“, რომელიც ძირითადად სამხრეთ ადმოსავლეთშია განთავსებული (Ministry of Tourism of Republic of Bulgaria, 2021).

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის აქტივობების განვითარების ხელშეწყობისთვის მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, დაინტერესებულ მხარეებსა და სხვადასხვა მმართველ ორგანოებს შორის არასაკმარისი თანამშრომლობაა ტურიზმის ხარისხსა და მდგრადობასთან დაკავშირებით ერთიანი და თანმიმდევრული პოლიტიკის განსახორციელებლად. გარდა ამისა, დიალოგი და ურთიერთქმედება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო მართვის ორგანოებს შორის ხშირად არაეფექტურია.

ქვეყანაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საჭიროებათა ანალიზი

ძლიერი მხარეები

ბულგარეთს რიგი უპირატესობები გააჩნია მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის მისი ტურისტული შეთავაზებების ფარგლებში (Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2015). ისინი მოიცავს შემდეგს:

- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მრავალი რესურსი, როგორცაა, ისტორიული, არქეოლოგიური და რელიგიური ძეგლები, ნანგრევები და არტეფაქტები, ასევე სპეციალურად აგებული თანამედროვე ღირშესანიშნაობები და პარკები; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, როგორცაა, ტრადიციები, ფოლკლორული ცეკვები და სამზარეულო; ღონისძიებები, ფესტივალები და გამოფენები და მრავალი სხვა,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის გარკვეული ობიექტები საერთაშორისო მნიშვნელობის მქონეა, მათ შორის რამდენიმე უნიკალური ობიექტი დაცულია იუნესკოს მიერ,
- ევროკავშირის წევრობა,
- კონკურენტუნარიანობა მაღალ ფასებთან შედარებით. ბულგარეთი ერთი-ერთი უაიფესი ევროპული ქვეყანაა, რომელსაც მაღალი შეფარდება აქვს ხარჯებსა და ვიზიტორებისთვის ღირებულებას შორის,



- პოლიტიკური სტაბილურობა და მდგრადი ეკონომიკური ზრდა COVID-19-ის შემდგომ სწრაფი რეაბილიტაციის პერსპექტივებით,
- ხელსაყრელი კლიმატური პირობები, რომლებიც შესაფერისია მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განხორციელებისთვის მთელი წლის განმავლობაში: რბილი ზამთრები, იშვიათი ცუდი ამინდი და ზღვრული ტემპერატურა,
- მრავალი სხვა რეკრეაციული რესურსი შეიძლება გაერთიანებულ იქნას მთლიან და მიმზიდველ ტურისტულ პაკეტებში. მაგალითად, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზებები შეიძლება შეივსოს სპა, სპორტული და ეკო-ტურიზმის აქტივობებით,
- ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა: ბულგარეთი, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთის და ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაგასაყარზე მდებარეობს, შედარებით ახლოსაა უმეტეს ახლად წარმოქმნილ ბაზრებთან,
- მრავალფეროვანი ობიექტები შედარებით მცირე ტერიტორიაზე, რაც მიმზიდველ თემატურ მოგზაურებებში მათი ადვილი დაჯგუფების საშუალებას იძლევა (Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2014-2020),
- კარგად განვითარებული ტურისტული ინფრა- და სუპერ-სტრუქტურა, სასტუმრო მეურნეობის, გზების, კურორტების, მუზეუმების, გალერეების, ტურისტთა საინფორმაციო ცენტრებისა და ა.შ. ჩათვლით,
- ზოგ ადგილებში, არსებობს აქტიური ადგილობრივი თემები, რომლებიც მუშაობენ მათი რეგიონის, როგორც ტურისტული მიმართულების მიმზიდველობის გაძლიერებისთვის და მოტივირებული არიან ტურისტებთან ახლო ურთიერთქმედებისთვის გამოცდილებითი ტურიზმის უფრო მეტი პროდუქტის შესაქმნელად,
- წვდომა რიგ ფინანსურ ფაქტორებსა და ინსტიტუციონალურ მხარდაჭერასთან მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის, მათ შორის, სამთავრობო გრანტებთან, ევროკავშირის პროექტებსა და სხვა საერთაშორისო რესურსებთან,
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა შედარებით კარგად განვითარებულია და კარგად ფუნქციონირებს. ქვეყანაში რამდენიმე საერთაშორისო აეროპორტია, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს ფარავს 200 კმ რადიუსში,
- დამხმარე სექტორები, მათ შორის, ჯანდაცვა, პოლიცია, საბანკო სექტორი, კომუნალური სამსახურები, კომუნიკაციები და ა.შ. კარგადაა ჩამოყალიბებული,
- ტექნიკური უზრუნველყოფისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მაღალი დონე, სანდო და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ კავშირი, მობილური ქსელების სხვადასხვა ოპერატორების კარგი დაფარვა მთელი ქვეყნის მასშტაბით,
- მასპინძლობის სერვისების ადგილობრივი მიმწოდებლების, მათ შორის, სოფლებში სასტუმრო სახლების, მცირე საოჯახო სასტუმროების, ჰოსტელებისა და ა.შ. მზარდი რაოდენობა,



- უცხო ენების ცოდნის მაღალი დონე. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მინიმუმ ერთ უცხო ენას ფლობს,
- განათლება ტურიზმის სფეროში განვითარებულია როგორც საშუალო სკოლის, ასევე უნივერსიტეტის დონეზე, რაც კვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობის გარანტიას იძლევა.

სუსტი მხარეები

ბულგარეთში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების ძირითადი გამოწვევები შემდეგში მდგომარეობს:

- შეთავაზება ძირითადად ფოკუსირებულია მასობრივ, სანაპირო, სარელაქსაციო ტურიზმზე. ეს წამოწევს მრავალ საკითხს ქვეყნის იმიჯთან, რესურსების მდგრად გამოყენებასთან, ფასების დაბალ დონესთან დაკავშირებით, რაც აფერხებს ტურიზმის სხვა ალტერნატიული ფორმების (მათ შორის, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის) განვითარებას,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული რესურსების, განსაკუთრებით, არამატერიალური რესურსების ფასის მომატებისთვის მუშა მექანიზმის არარსებობა,
- ქვეყნის ეროვნული მარკეტინგისა და ბრენდირების სტრატეგია სასწრაფო გადახედვას საჭიროებს. ბულგარეთმა პოზიცია უნდა შეიცვალოს საერთაშორისო ბაზარზე, რაც რიგ დაგეგმილ ჩარევებს საჭიროებს,
- მკაფიოდაა ხაზგასმული მოთხოვნის სეზონურობა. არსებობს შესაძლებლობები მთელი წლის განმავლობაში მოქმედი ტურიზმისთვის, თუმცა პრაქტიკაში, ტურისტული აქტივობების უმეტესობა ზაფხულის თვეებში ხორციელდება, რაც ხელს უწყობს მასპინძლობის სექტორში სუპერსტრუქტურის არათანაბარ გამოყენებას,
- სასტუმრო მეურნეობის ობიექტები ძირითადად ზღვის სანაპიროს გარშემოა კონცენტრირებული (აქ განლაგებულია მასპინძლობის სექტორის 2/3-ზე მეტი). ეს რეგიონულ უთანასწორობას იწვევს.
- არასაკმარისი ინსტიტუციონალური პოტენციალი, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში შესაბამისი ადგილობრივი, რეგიონული და სახელმწიფო ორგანოების ნაკლებობით
- საკანონმდებლო პრინციპების სიმცირე. კანონებისა და რეგულაციების ნაკლებობა სასიცოცხლო საკითხებზე, როგორცაა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და გაძლიერება,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა,
- ტურიზმის სექტორზე მონიტორინგის, ზედამხედველობისა და კონტროლის დაბალი დონე. ეს იწვევს „ჩრდილოვანი“ (არარეგულირებული ან უკანონო) ტურისტული საქმიანობის მაღალ მაჩვენებელს, ხარისხის კონტროლის არარსებობასა და შესაძლო პრობლემებს იმიჯთან დაკავშირებით.



- ტერიტორიული დაგეგმვა ჯერ კიდევ საწყის სტადიაზეა. მიუხედავად რიგი წინადადებებისა სხვადასხვა ფორმის დაყოფასა და რამდენიმე თემატური დანიშნულების ადგილების შექმნასთან დაკავშირებით, არ იქნა მიღწეული რაიმე შეთანხმება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონულ მართვასა და პოპულარიზაციას,
- ადგილობრივი საწარმოები დანაწევრებულია და იშვიათად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან ან ორგანოებთან,
- ფილიალები, პროდუქტები და რეგიონული ასოციაციები არსებობს, მაგრამ ისინი არ არიან ძალიან აქტიური და მათ მიერ მათი წევრებისთვის შეთავაზებული ბენეფიტები შეზღუდულია.
- დაწესებულებებს შორის ურთიერთქმედება და თანამშრომლობა სუსტია. ეს მრავალ პრობლემას ქმნის, განსაკუთრებით, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შემთხვევაში, რადგანაც რესურსებისა და დაკავშირებული საქმიანობის უმეტესობა საჭიროებს ერთობლივ ჩარევას კულტურის სამინისტროსა და ტურიზმის სამინისტროს სახელით.
- ადგილობრივი თემები უმეტესად ინერტულია და აკლიათ მოტივაცია ტურისტებთან ურთიერთქმედებისთვის,
- ტურისტული საინფორმაციო ცენტრები მხოლოდ დიდ ქალაქებში არსებობს, მაგრამ მათი ფუნქციები შეზღუდულია, ხოლო მათ მიერ ტურისტებისთვის გაწეული მხარდაჭერა (ამობეჭდილი მასალების, ინფორმაციის, დაჯავშნისა და სხვა სერვისების სახით) არასაკმარისია.
- კოორდინაციის ნაკლებობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორცაა, საწარმოები, მომხმარებლები, ადგილობრივი ორგანოები, კულტურული, საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებები, ტურიზმის პროვაიდერები და ა.შ.
- მდგრადობა და ეკოლოგიური პრინციპები მხოლოდ ქალაქებშია პრიორიტეტული და მათი პრაქტიკული შედეგები ძალიან დაბალია: მხოლოდ რამდენიმე სასტუმრომ მოახდინა ინვესტირება განახლებადი ენერჯის წყაროებში ან სხვა დამზოგველ ან ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებში; ეკო-ინოვაციები, უნარჩენო ან ცირკულარული ეკონომიკა თითქმის არ არსებობს ტურიზმის სექტორში.
- საიმედო სტატისტიკა ტურიზმის სექტორში წარმოადგენს პრობლემას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ამ სექტორში ინვესტირების შესაძლებლობებზე,
- ბიზნეს საქმიანობას აფერხებს ბიუროკრატიის მაღალი დონე და მოქნილობის ნაკლებობა ორგანოებისა და დაწესებულებების მიდგომაში,
- კორუფცია პრობლემას წარმოადგენს ტურიზმის მართვის ყველა დონეზე. სამწუხაროდ, ტურიზმის (კერძოდ, სოფლის ტურიზმის) განვითარებისთვის განკუთვნილი გარკვეული სახსრები მითვისების ან ფინანსურ თაღლითობის გამო იკარგება.
- ტურიზმის ინდუსტრია ნაკლებად მიმზიდველი ხდება, როგორც დამსაქმებელი ახალგაზრდა ადამიანებისთვის, დაბალი ხელფასის, მძიმე შრომის, არარეგულარული



დასაქმებისა და ა.შ. გამო. ეს ტენდენცია მოსალოდნელია გაუარესდეს COVID-19 პანდემიის პერიოდში ან მის შემდეგ, რადგანაც ტურიზმი და მასპინძლობის სექტორები ყველაზე დაზარალებულ სექტორებს შორის არიან.

- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მოთხოვნები მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებზე კომპეტენციების კონკრეტული ნაკრებით და მათი უზრუნველყოფა შეიძლება პრობლემური იყოს,
- პერსონალის მაღალი ცვლილება (სხვადასხვა ფაქტორების გამო, როგორცაა, სეზონურობა, დაბალი მოტივაცია), რაც უარყოფითად მოქმედებს გაწეული მომსახურების ხარისხზე,
- ძალიან დაბალია იმ კომპანიების წილი, რომლებიც სერტიფიცირებული არიან ხარისხის ან მდგრადობის გამო (როგორცაა, „მწვანე სახლი“),
- ტურისტული „სტარტ-აპების“ (ინკუბატორები, დაფინანსების ინსტრუმენტები, მენტორობა და ა.შ) არასაკმარისი მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან, რაც თრგუნავს სამეწარმეო ინიციატივას, მათ შორის, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის სფეროში,
- ცუდი საგზაო ინფრასტრუქტურა ზოგიერთ მომხრეებზე ადგილას. რაც უფრო თვითმყოფადი და „გადაკარგულია“ ობიექტი, მით უფრო ნაკლებად მისაღებია.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შეზღუდული წვდომა და პირობები, დატრენინგებული მომსახურე პერსონალის ნაკლებობის ჩათვლით,
- კულტურული და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რესურსების გაციფრულების დაბალი დონე,
- გაყიდვების არხების ონლაინ განაწილება თანდათან იძენს პოპულარობას, თუმცა ელექტრონული გადახდები განვითარების საწყის ეტაპზეა,
- ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტი, როგორცაა, ჩეკები, ვაუჩერები და საკრედიტო ბარათები არაა გავრცელებული და ფართოდ გამოყენებადი,
- განათლება ტურიზმის სფეროში ძირითადად თეორიულია. პრაქტიკული სწავლება, სწავლება სამუშაო ადგილზე და პრაქტიკული სწავლება არასათანადოდაა განვითარებული, რაც უარყოფითად აისახება ადამიანური რესურსების ხარისხზე, განსაკუთრებით, იმ ადამიანური რესურსებისა, რომლებსაც აკლიათ პროფესიული გამოცდილება ამ სფეროში,
- ტურისტული მარშრუტებისა, ობიექტებისა და ბილიკების აღნიშვნები არასათანადოდაა განვითარებული და ხშირად არაა წარმოდგენილი უცხო ენაზე,
- რესურსებისა და ღირშესანიშნაობების მართვა ხშირად სუსტია. ისტორიული და კულტურული ძეგლების მოვლა ხშირად პრობლემატურია. ძალიან მცირე რაოდენობის სტრატეგიები შეიმუშავებული და განხორციელებული ვიზიტორთა შესაძლებლობების მართვისთვის ან ტურისტების ინფორმირებულობის გასაზრდელად ძეგლების დაცვისა და გაძლიერების კუთხით.
- მუზეუმებისა და გალერეების გაუმჯობესებისა და მოდერნიზაციისთვის ინვესტიციების ნაკლებობა. მაღალტექნოლოგიური გადაწყვეტების, როგორცაა,



ვირტუალური ტურები, ციფრული ტურისტული გიდები და ა.შ. გაციფრულებისა და გამოყენების ძალიან დაბალი დონე,

- ღონისძიებათა კალენდარი არასრულია და არახელმისაწვდომია. მრავალ ღონისძიებას შეზღუდული დაფარვა და რეკლამა აქვს, რაც აფერხებს უფრო მაღალ დასწრებას (Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2014-2020).
- შემცირებულია კემპინგისა და ქარავნის ადგილები. მათი მართვა ხშირად უგულებელყოფილია და ზოგჯერ ისინი უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს წამოჭრიან. თანამედროვე ბანაკების ან რეკრეაციული მოძრავი პარკების ნაკლებობა სათანადო ინსტალაციებითა და აღჭურვილობით,
- სახელმწიფო რეკლამა საკმაოდ მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. ბრენდირება საკმაოდ ზოგადია და არ ასახავს ქვეყნის, როგორც ტურისტების დანიშნულების ადგილის სრულ პოტენციალს.
- მსხვილ საერთაშორისო ტურ-ოპერატორებზე დამოკიდებულების მაღალი დონე, რაც თრგუნავს ადგილობრივ ბიზნესს და იწვევს მასობრივი, სტანდარტიზებული შეთავაზების პრიორიტეტიზაციას უნიკალური, ალტერნატიული პროდუქტების ნაცვლად. ეს ასევე ხელს უწყობს ფინანსების გადინებას, რადგანაც ტურისტის მიერ გენერირებული შემოსავლების უდიდესი ნაწილი არ რჩება დანიშნულების ადგილზე (ან ქვეყანაში),
- საიმედო ცენტრალიზებული ეროვნული ტურიზმის რეესტრის არარსებობა ტურიზმის რესურსების, ობიექტების, ღირშესანიშნაობების, პროვაიდერების, ღონისძიებების, ინვესტირების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მისაღებად.

შესაძლებლობები

- ტურიზმის კონცეფციის შეცვლა გლობალურ დონეზე: მოხმარებაზე ორიენტირებულიდან გამოცდილებით გამოწვეულამდე, ეგოცენტრიულიდან საზოგადოებისთვის სასარგებლომდე, კომფორტულიდან და მხიარულების მამიებლიდან აზრიანამდე და გამამდიდრებლამდე. მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი, როგორც კონცეფცია, შესაბამისობაშია ახალი ტენდენციებთან.
- ტურისტული ნაკადების მიმართულების შეცვლა, შიდა ტურიზმის ზრდის ან მეზობელი და ახლომდებარე ბაზრების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის ჩათვლით. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება გლობალური პანდემიის პირობებში.
- სავიზო მოთხოვნების შემსუბუქება გაამარტივებს წვდომას ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ბაზართან.
- ქვეყანას შეუძლია გააძლიეროს თავისი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის სფეროში, გლობალურ ბაზარზე თავისი კონკურენტული უპირატესობების გასაზრდელად.



- მდგრადობის დღის წესრიგი ითვალისწინებს უფრო მეტად გააზრებულ მოხმარებას, მათ შორის, ტურისტული პროდუქტებისას. მასობრივი ტურისტული შეთავაზებები თანდათან უნდა შემცირდეს და პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ტურიზმის მწვანე ფორმებს.
- უფრო მეტი ინვესტიცია (სამთავრობო და საპროექტო მხარდაჭერის ჩათვლით) საზოგადოებისთვის სასარგებლო ბიზნეს ინიციატივებისთვის, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის ჩათვლით.
- გლობალური პანდემია ითხოვს ტურიზმის პროდუქტების მოხმარების ახალ ფორმებს: უფრო მეტად ინდივიდუალიზებულს, ნაკლებად ხალხმრავალს, უფრო მეტად პერსონალიზებულს, ალტერნატიული საცხოვრებლის გამოყენებით და ა.შ.
- მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა ტურიზმის საერთო პროდუქტებისთვის (მაგალითად: თემატური მარშრუტები) და გაერთიანებული მარკეტინგული ძალისხმევებისთვის.

საფრთხეები

- გლობალური Covid-19 პანდემია, რომელიც იწვევს მთელი ბაზრების ჩაკეტვას, ტურიზმზე მოთხოვნის უპრეცედენტო შემცირებას, მკაცრ სამეზობლო შეზღუდვებსა და რეგულაციებს და სოციალური იზოლაციის მოთხოვნას (მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის ერთ-ერთი საყრდენის - სოციალური ურთიერთქმედების საპირისპიროდ).
- COVID-19 პანდემიის შემდგომი გლობალური ეკონომიკური კრიზისი, შემცირებული შემოსავალი, უმუშევრობის მაღალი დონე, სავარაუდო რისკების მაღალი დონე და ჭარბი მოხმარების (მათ შორის, ტურიზმის პროდუქტების მოხმარების) შემცირების საჭიროება.
- გლობალური კლიმატის ცვლილება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მკაცრი პირობები, მკაცრი ამინდი და სტიქიური უბედურებები.
- ძლიერი კონკურენტები, განსაკუთრებით ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან, რომლებთანაც მსგავსი ტურისტული რესურსები გაგვაჩნია.
- ტურიზმის ბაზრები საკმაოდ დინამიური ხდება და რთულია მათი პროგნოზირება და მათთან ადაპტაცია.
- ცვლილებები მოხმარებელთა დამოკიდებულებებში, აღქმებში, მსყიდველობით ქცევასა და არჩევანში, რომელთა პროგნოზირებაც შეიძლება რთული იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.
- ტურიზმის ინდუსტრიის დამოკიდებულება სხვა სექტორებზე, როგორცაა, კვება და სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტირება, კულტურა, ეკონომიკური, საგარეო საქმეები, განათლება და სხვა.
- მოსახლეობის გლობალური მიგრაცია, რაც ხშირად იწვევს სოფლის ტერიტორიების დაცარიელებას, სადაც ტურიზმის განვითარებისთვის ადამიანური რესურსების ნაკლებობაა.



პოლიტიკის შესაძლო ვარიანტების ჩამოყალიბება

საჭიროებათა შეფასების ანგარიშის, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებისა და წინა პუნქტში მოცემული SWOT ანალიზის შედეგების შესწავლის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია ზოგიერთი საჭირო ჩარევა, რომელიც მიზნად ისახავს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ზრდის ხელშეწყობას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია შესაძლო სტრატეგიული ქმედებები ამ მიმართულებით, შედეგები და მონაწილე მხარეები.

#	სტრატეგიული ქმედება	სტრატეგიული ქმედების მიზან(ებ)ი	სტრატეგიული ქმედების შესაძლო შედეგ(ებ)ი	შესაძლო პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარე(ები)
1.	ქვეყნის პოზიციონირება გლობალურ ბაზარზე, როგორც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის დანიშნულების ადგილისა	<p>ბულგარეთი ცნობილი უნდა იყოს თავისი მდიდარი კულტურითა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რესურსებით და როგორც დანიშნულების ადგილი, რომელიც უნიკალურ და დასამახსოვრებელ გამოცდილებას სთავაზობს</p> <p>ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა</p> <p>ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა</p>	<p>ბულგარეთის, როგორც ტურისტული მიმართულების მარკეტინგისა და მენეჯმენტის გაუმჯობესება</p> <p>პროდუქტების გაუმჯობესებული პორტფოლიო, გამოცდილებაზე დაფუძნებული პაკეტების ჩათვლით.</p> <p>ტურისტული საინფორმაციო ცენტრების მუშაობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ახალი ბრენდისა და ბრენდირების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება</p> <p>უფრო მეტი და უკეთესი დაგეგმილი სარეკლამო აქტივობა, საერთაშორისო</p>	<p>მთავრობა</p> <p>ტურიზმის სამინისტრო</p> <p>ტურისტული კომპანიები</p>

			გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის ჩათვლით	
2.	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სექტორის კონკურენტუნარიან ობის ზრდა	მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მიმზიდველი პროდუქტებისა და აქტივობების შეთავაზება მიმზიდველი წინადადების შეთავაზება კონკურენტუნარიან ფასად მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რესურსების გაძლიერება და დაცვა	გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის ჩათვლით მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული მიმზიდველი მარშრუტებისა და პაკეტების შექმნა რესურსების ღირებულების მომატება პროდუქტებისა და შეთავაზების გაციფრულება მაღალი ხარისხის სერვისების უზრუნველყოფა, მონიტორინგისა და კონტროლის ჩათვლით სერტიფიცირებისა და მარკირების წახალისება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის უფრო მეტი სპეციალიზებული კულტურული ღირშესანიშნაობების შექმნა კულტურული ღონისძიებების შემუშავება, პოპულარიზაცია და დადგმა კომპანიებსა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება	ტურიზმის სამინისტრო კულტურის სამინისტრო ტურისტული ასოციაციები კომპანიები

<p>3.</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა ხელსაყრელი პირობებისა და ბიზნეს გარემოს შექმნით</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში ბიზნეს ინიციატივების წახალისება</p> <p>ტექნიკური და ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება</p> <p>ტურიზმის რეგულირების გაუმჯობესება</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა</p> <p>ადამიანური რესურსების მართვა</p> <p>ფინანსური წახალისება და ინვესტირების შესაძლებლობები</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის შექმნაში ადგილობრივი თემების უფრო აქტიური ჩართულობის წახალისება</p>	<p>სათანადო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, ობიექტებთან მისასვლელი გზების გაძლიერება</p> <p>ვიზიტორთა მართვის კონტროლის განხორციელება</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ ტურიზმთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების გაუმჯობესება</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმისთვის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება</p> <p>ინსტიტუციონალური პოტენციალის განვითარება</p> <p>პარტნიორობების ჩამოყალიბება შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან</p> <p>მოსაზღვრე ქვეყნებს შორის თანამშრომლობა საერთო ტურისტულ პროდუქტებთან დაკავშირებით</p> <p>მეტი ფოკუსირება მომავალი ექსპერტების პრაქტიკულ სწავლებაზე</p> <p>სტარტ-აპების დაფინანსება და ტექნიკური მხარდაჭერა</p>	<p>მთავრობა</p> <p>ტურიზმის სამინისტრო</p> <p>ტურიზმის სამინისტრო</p> <p>ტურიზმის ეროვნული საბჭო</p> <p>ტურიზმის სამინისტრო</p> <p>ადგილობრივი ორგანოები</p> <p>საგანმანათლებლო დაწესებულებები</p> <p>მთავრობა</p> <p>ფინანსური დაწესებულებები</p> <p>მთავრობა</p> <p>მუნიციპალიტეტები</p> <p>მთავრობა</p> <p>ადგილობრივი თემები</p>
-----------	---	---	--	--

			<p>ტურიზმში ინვესტიციების წახალისება</p> <p>მცირე პროვაიდერებისთვის გრანტებისა და დაფინანსების სხვა ინსტრუმენტების გამოყოფა</p> <p>ინოვაციების წახალისება</p> <p>გადასახადების შემსუბუქება და გადასახადებისგან გათავისუფლება</p> <p>ბიზნეს აქტივობების რეგულირება და კონტროლი და პოტენციური „ჩრდილოვანი“ ეკონომიკური საქმიანობის მონიტორინგი</p> <p>საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანია მასპინძელ მოსახლეობაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პოპულარიზაციისთვის</p> <p>ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სხვა ტურისტულ აქტივობებში ადგილობრივი მცხოვრებლების, როგორც მოხალისეების, მონაწილეობის წახალისება</p>	
--	--	--	---	--

დასკვნები

ანალიზი ადასტურებს, რომ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ ტურიზმს ბულგარეთში უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია სამომავლო განვითარებისთვის და პრიორიტეტად უნდა იქნას მიჩნეული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას



ადგილობრივ, რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე. სამოქმედო გეგმა ან სტრატეგიული ჩარჩო პოლიტიკა უფრო მდგრადი, ნიშური ტურისტული შეთავაზებებისკენ შემუშავებულ უნდა იქნას შესაბამისი დაწესებულებების მიერ, ტურისტულ პროვაიდერებსა და ადგილობრივ თემებთან თანამშრომლობით. საჭიროა ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევა:

- გლობალური ტურიზმის ბაზარზე ქვეყნის იმიჯის გასაუმჯობესებლად და ბულგარეთის, როგორც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული მიმზიდველი და ცნობადი ტურისტული დანიშნულების წარმატებული პოზიციონირებისთვის;
- შეთავაზების დივერსიფიკაციისთვის ქვეყნის პორტფელში განსაკუთრებული ინტერესის ტურიზმის პროდუქტების ჩართვით;
- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, დაცვისა და გაძლიერებისთვის, ტურისტული რესურსების ღირებულების მომატების ჩათვლით;
- მომსახურების ხარისხის გასაძლიერებლად, რაც კონკურენციის ზრდას იწვევს;
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარებისთვის მთავრობის ხელშეწყობის მიღებას;
- მაღალტექნოლოგიური და ინტერნეტ საშუალებების, როგორცაა, ვირტუალური ტურები; პროდუქტების გაციფრულება, ინტენსიური გამოყენების უზრუნველსაყოფად; რეკლამირებისა და გავრცელებისთვის ონლაინ პლატფორმებისა და სოციალური მედიის უფრო ინტენსიურად გამოსაყენებლად.



რეგიონულ საჭიროებათა შეფასების ანგარიში: საქართველო

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს რეგიონის სამუშაო გეგმის საბაზისო გზამკვლევს, რომელიც განსაზღვრავს შავი ზღვის აუზის რეგიონის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის მეტი გამოცდილებითი შეთავაზებების გაუმჯობესების პრაქტიკასა და პროცესებს. იგი მოიცავს რეკომენდაციებით განსაზღვრულ ქმედებებს მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში მოღვაწე დაინტერესებული მხარეების მიერ მდგრადობის და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით.

სამოქმედო გეგმის შემუშავებას წინ უსწრებდა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის საჭიროებების კვლევა, რამაც გამოავლინა ძირითადი პრობლემატური საკითხები და განვითარების სირთულეები. იგი წარმოადგენს ფუნდამენტურ ინფორმაციას სტრატეგიული მიზნებისა და ქმედებების განსაზღვრად და საქმიან დონეზე სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებას წინ უსწრებდა ასევე მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის არსებული ცნების გაგება კულტურული ტურიზმის კონტექსტში, სადაც ყურადღება გამახვილებულია მემკვიდრეობასა და კულტურაზე, როგორც შემეცნების, სწავლების და ზოგადად გამოცდილების მიღების განმსაზღვრელ ელემენტებზე და რაც საერთოა შავი ზღვის აუზის პროექტში მონაწილე ყველა ქვეყნისთვის.

მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი (HCBET) არის სოციალურად და ეკოლოგიურად პასუხისმგებელი სამოგზაურო საქმიანობისა და მომსახურებების ერთობლიობა, რომელიც სთავაზობს დაუვიწყარ გამოცდილებებსა და მემკვიდრეობისა და კულტურის ინტერპრეტაციას, რასაც მოგზაურები საკუთარი თავის აღმოჩენისკენ, ახალი ცოდნის შეძენისა და შთაგონებისკენ მიჰყავს.

HCBET ეხმარება არამხოლოდ მოგზაურებს შეიცნონ ისტორია, ხალხი და კულტურა, არამედ თავად ადგილობრივ მოსახლეობასაც საკუთარი კულტურული ფასეულობების აღქმასა და დაფასებაში. შესაბამისად, იგი ხელს უწყობს მემკვიდრეობისა და კულტურის შენარჩუნებას ყოველდღიურობაში და რესურსების მდგრად გამოყენებას, რაც დამატებით ღირებულებასა და სარგებელს მატებს მთლიან რეგიონს და მასპინძელ თემს“ (PRO EXTOUR, 2021).

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარება საქართველოში

საქართველო, როგორც უძველესი და მდიდარი კულტურის ქვეყანა, ტრადიციულად წარმოადგენს კულტურული ტურიზმის არეალს მათთვის, ვინც დაინტერესებულია ავთენტური და უნიკალური სანახაობებით და ცოცხალი კულტურით. ქვეყნის ტურიზმის განვითარების სტრატეგიაში კულტურული რესურსები, ქართულ ღვინოსთან და სამზარეულოსთან, ტრადიციული მასპინძლობის ელემენტებთან ერთად განიხილება ტურისტულ ღირებულებად, რაც ყველაზე მეტად იზიდავს დღევანდელ მოგზაურებს. HCBET,



როგორც კულტურული ტურიზმის ტრადიციული (მასიური) სახის ახალი (ალტერნატიული) მიმართულება პირველად გამოჩნდა „საქართველოს კულტურის ეროვნულ სტრატეგიაში“ (გვ. 40). ეს არის ახალი ტალღა თავისი ინოვაციური სიახლეებით, თანამონაწილეობითი დაგეგმვით, ინდივიდუალური მიდგომებითა და შემოქმედებითობით და ა.შ, სადაც ინტეგრირებულია მდგრადი განვითარების პრინციპები. შესაბამისად, ტრადიციული კულტურული ტურიზმი საქართველოში ტრანსფორმაციის ეტაპზე მოითხოვს სათანადო დაგეგმვას, ცოდნას და ინტერდისციპლინარულ მიდგომას, სხვადასხვა დონეზე უწყებათა თანამშრომლობას და სამუშაო ძალების კონსოლიდაციას.

საქართველოში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საჭიროებების ანალიზი (SWOT)

საჭიროებების კვლევის საფუძველზე სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა HCBET-ის ძირითად გამოწვევებზე - არსებული საფრთხეების შემცირების და პრობლემების ერთობლივი გადაჭრის მეთოდების მოძებნის გზებზე. კერძოდ, გამოვლინდა ოთხი მიმართულება, 9 სტრატეგიული მიზანი და 24 სტრატეგიული ქმედება. შედეგები მოცემულია სამოქმედო გეგმის ლოგიკური ჩარჩოს სახით.

ძლიერი მხარეები

→ მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა და კულტურა

საქართველოს უძველესი და მრავალფეროვანი კულტურა ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ძლიერი მხარეა. ქვეყანაში მრავალი უნიკალური კულტურული ძეგლია, რომელიც საერთაშორისო და რეგიონალურ ტურისტულ ბაზარზე უნიკალურ სანახაობას ქმნის. მაგალითად უძველესი ცივილიზაცია, მეგალითური ნაგებობების ნაშთები, პრეისტორიული კლდის მხატვრობა, ადრეული და შუასაუკუნეების ქრისტიანული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშები. ამას ემატება ქვეყანაში არამატერიალური რესურსების მრავალფეროვნება და უნიკალურობა, რაც მათ უწყვეტობაში მდგომარეობს. ცოცხალი კულტურის მაგალითები, როგორებიცაა, ფოლკლორული ცეკვები, ქართული პოლიფონია, კულინარია და გასტრონომია, ტრადიციული რეწვა და სახვითი ხელოვნება, სოციალური პრაქტიკა და მსგავსი, ქვეყნის ავთენტური მხარეა და მათი ნაწილი დღეს „იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის წარმომადგენლობით სიაშია“ შეტანილი (UNESCO.org, 2019). საინტერესოა ასევე ქვეყნის ისტორია, განსაკუთრებით საქართველოს პერიფერიულ რეგიონებში იმპერიების კავკასიური თავგადასავლის კვალის ნაშთები და სხვა.

→ სახელმწიფოს მხარდაჭერა



საქართველოში კულტურული მარშრუტების განვითარების და ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამაში ეფექტური ჩართულობის მიზნით, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბაზაზე არსებული კულტურული მარშრუტების სამმართველო კოორდინაციას უწევს საქართველოს კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების უწყებათაშორისი საბჭოს ფუნქციონირებას. საბჭო დაკომპლექტებულია 13 წარმომადგენლისგან¹. (Cultural Routes of Georgia, 2017)

ქვეყანაში ალტერნატიული ტურიზმი, როგორც დამხმარე ინდუსტრია, მრავალი სექტორის შემადგენელი ნაწილი გახდა, შესაბამისად ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდამჭერი პროგრამები. აქტიურად განიხილება მდგრადი განვითარების პრინციპები, როგორც რესურსების მდგრადი გამოყენების მიზნით თვითმართველობის თანამონაწილეობითი პრაქტიკის დანერგვა, ადგილის მართვის ორგანიზაციების (DMO) და ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) შექმნა.

→ ადგილობრივი რესურსების და ტალანტების გამოყენება

მრავალფეროვანი და ბაზარზე ორიენტირებული პროდუქტის შექმნის მიზნით, საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე არსებულ რესურსებზე დაყრდნობით ინტეგრირებული ტურისტული მარშრუტების მოწყობა.

→ კულტურული მარშრუტების პროგრამაში ინტეგრაცია

საქართველო 2016 წლიდან ჩართულია „ევროპის კულტურული მარშრუტების სერტიფიცირების პროგრამაში“², რაც ხელს უწყობს კულტურული მარშრუტების მოწყობის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვას და საერთაშორისო ქსელში ინტეგრაციას. ამ კუთხით საინტერესოა კვლევებზე დაფუძნებული მარშრუტების სერტიფიცირება და ევროპის კულტურულ მარშრუტებში ინტეგრაცია (Cultural Routes of Georgia, 2017)³.

სუსტი მხარეები

→ ნაკლებად დივერსიფიცირებული და ხარისხიანი ტურისტული პროდუქტი

დღევანდელ დღეს ტურისტი ეძებს სიახლეს, ახალ ემოციებს, ცოდნას, რაც დაუზიწყარი გამოცდილებების მიღების საშუალებას მისცემს მას. ავთენტური სანახაობის გარდა, მოთხოვნაა მასპინძელ-სტუმარს შორის მჭიდრო ურთიერთობაზე, რაც ადგილობრივი

¹ <http://culturalroutes.gov.ge/Contact.aspx>

² პროგრამის ფარგლებში შემუშავდა ხუთი კულტურული მარშრუტი: „ღვინის მარშრუტი“, „ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი“, „ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშრუტი“, „პრეისტორიული კლდის ხელოვნება“, და „ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი“.

³ <http://culturalroutes.gov.ge/Contact.aspx>; ამ ეტაპზე სერტიფიცირებული მარშრუტებია „გერმანული დასახლებული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა“, „ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ საქართველოში“. ხოლო კვლევები ჩატარებულია შემდეგი ტემატიკის ირგვლივ „დასავლეთ საქართველოში ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“, „მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში“, უძველესი ცივილიზაციების კვალდაკვალ“, „მივალ გურიაში მარა“, „საქართველოს კერამიკის გზა“, „ინდუსტრიული მემკვიდრეობის ქართული გზა“, „პრეისტორიული კლდის მხატვრების მარშრუტი საქართველოში“, „ციხე-სიმაგრეები - მომავლის მცველები“



ტრადიციების გაცნობის უნიკალური საშუალებაა. ამავდროულად, საჭიროების კვლევამ აჩვენა, რომ გამოცდილებისა და თავგადასავლის მიმართ მრავალფეროვანი და დიდი ინტერესის მიუხედავად, რესპონდენტთა 30%-ზე მეტი ითხოვს კომფორტულ მოგზაურობას და სურს საკუთარი კომფორტი შესწიროს დასამახსოვრებელი გამოცდილების მიღებას. აქ სასურველია ტურების პროფესიული და სამოყვარულო ტურისტული შეთავაზებების შექმნა.

არსებული სიტუაციის კვლევამ გვაჩვენა, რომ თავგადასავლების ძიება, ახალი ემოციები, ინსპირაცია და გამოცდილების მიღება მხოლოდ ერთი პროდუქტის შეთავაზებებით და კომფორტით არ ხდება. მომხმარებელი ავთენტური გარემოს გარდა ითხოვს ფიზიკურ აქტივობას, როგორც არის სამოგზაურო ადგილის ირგვლივ საფეხმავლო, საცხენოსნო, ველო ტურები; გასეირნება როგორც კულტურული ლანდშაფტის, ასევე ბუნებრივ ხელუხლებელ გარემოში, ტურისტული შეთავაზებები აგროტურისტულ მეურნეობებში და სხვ.

→ პერსონალის არასათანადო/არასაკმარისი კვალიფიკაცია და ცოდნა

საჭიროებების კვლევამ გამოავლინა შრომის ბაზარზე არსებული კადრების კვალიფიკაციისა და შესაბამისი ცოდნის დეფიციტი. მომზადდა თემების ჩამონათვალი, რაც გამოიკვეთა პრაქტიკოსებთან და სასტუმრო/რესტორნის მენეჯერებთან საუბრისას.

→ შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციების ზრდის ტენდენცია

ახალგაზრდები, სამწუხაროდ, აღარ ინტერესდებიან მათი მშობლების მიერ გადმოცემულ თქმულებებში ან აღარ სურთ ისწავლონ ის, რაც მათ წარსულმა შემოუნახა. კვლევამ აჩვენა, რომ ტურისტების ემოციებმა და აღფრთოვანებამ კიდევ უფრო გააძლიერა ქართველი მასპინძლის მოტივაცია, იდენტობის, განსხვავებულობის, სიამაყის გრძნობა ქვეყნის კულტურის და ეროვნული ღირებულებების მიმართ, ასევე საკუთარი შემოქმედებითი უნარის/ნიჭის აღიარება და როლი ცოდნის გადაცემის და რესურსების შენარჩუნებაში.

→ სუსტი თანამშრომლობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე

ტურისტულ ბაზარზე მნიშვნელოვანია ტურისტული საშუალებები - ის ძირითადი ინფრასტრუქტურა, რაც სამოგზაურო ადგილის აღჭურვილობის და კეთილმოწყობის საშუალებებს იძლევა. რეგიონებში კვლავ დგას წყლისა და გაზის მიწოდების პრობლემა, ასევე არასაკმარისია ტურისტული ობიექტების და საგზაო მანიშნებლები, რაც ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერის გარეშე ვერ შეიქმნება.

→ სუსტი ქსელური თანამშრომლობა მომსახურების მიმწოდებლებს შორის (რაც აფერხებს ოსტატების ჩართულობას ტურიზმის ბაზარზე)

დღეს სტუმარს მხოლოდ კომფორტული საწოლ-ადგილებით და ერთფეროვანი შეთავაზებებით ვერ გავაკვირვებთ. შემოქმედებითი მიდგომა და კრეატიული ელემენტების ჩართვა მხოლოდ სხვადასხვა პროვაიდერების თანამშრომლობით და ინტეგრირებული ტურისტული პროდუქტის შექმნით არის შესაძლებელი.



→ მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ტურპროდუქტის არასაკმარისი ინტერპრეტაცია და მარკეტინგი

ტურისტებისათვის ხშირად ფაქტებზე მეტად კონკრეტული ისტორიები და ლეგენდებია დამაინტერესებელი. ემოციური კავშირისათვის, ტურისტს სჭირდება ცოცხლად მოყოლილი ამბავი. რეკომენდებულია ადგილობრივი ღონისძიებების, როგორც არის ეთნო ფესტივალები, სათემო დღესასწაულები და სხვა, კალენდრის პოპულარიზაცია. აუცილებელია რომ აქტიურად იყოს გამოყენებული ეგრეთ წოდებული „ამბის მოყოლის“ ტექნიკა, რათა მოხდეს პრაქტიკის გაზიარება და პროცესის აღწერისთვის ისეთი კომპეტენციების ქონა, რომლებიც მნახველს უჩვენებს ქვეყნისთვის უძველეს ტრადიციებს.

ქართული ტრადიციების უნიკალური გამოცდილებების წარდგენას სჭირდება უფრო მოქნილი და შემოქმედებითი მიდგომა და ინოვაციური პლატფორმები, როგორც არის Airbnb.com-ის პორტალი ტრანსფორმაციული სამოგზაურო გამოცდილების შესახებ. საქართველოში არსებული ონლაინ პლატფორმები საჭიროებს თავად მიმოწოდებლების გააქტიურებას, შესაბამის ცოდნას/უნარებს ციფრულ მარკეტინგსა და სოციალური ქსელების ადმინისტრირებაში, მაღალი ხარისხის კომუნიკაციას პოტენციურ მომხმარებელთან.

შესაძლებლობები

→ კავკასიის რეგიონში კონკურენტუნარიანი მდებარეობა

საქართველო კონკურენტუნარიანია საერთაშორისო და რეგიონალური ტურისტების მიღების თვალსაზრისით. სამივე ქვეყნის ტურისტის წარდგენას საერთაშორისო ბაზრებზე ახდენენ საქართველოს ტუროპერატორები.

→ მხარდაჭერა ევროპის საბჭოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან

2021 წელს ქალაქი ქუთაისი ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების რიგით მეათე საკონსულტაციო ფორუმს უმასპინძლებს (29 სექტემბერს- 2 ოქტომბერს).

→ საერთაშორისო თემატური ტურების განვითარება

თემატური ტურისტული პროდუქტის შექმნის თვალსაზრისით საქართველოს აბრეშუმის გზის და ევროპის კულტურული მარშრუტების თემატიკის განვითარების პოტენციალი აქვს. აბრეშუმის (სავაჭრო) გზა პროგრამის განახლებას მხარს უჭერს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, რომლის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ტურიზმის საშუალებით⁴.

⁴ აბრეშუმის გზის თემას წარმატებულად იყენებს უზბეკეთი სადაც ქ.ბუხარაში ყოველწლიურად იმართება აბრეშუმისა და სანელებლების ფესტივალი. ფესტივალზე წარმოდგენილია შოუ პროგრამა, რომელიც უზბეკეთისა და მეზობელი ქვეყნების კულტურიდან წარმოაჩენს ტრადიციულ პროდუქტებს და წეს-ჩვეულებებს. სტუმრები აგემოვნებენ ისეთ ტკბილეულს, როგორცაა ჰალვა, ასევე ესწრებიან



საინტერესოა კერამიკის გზის პოპულარიზაცია საქართველოში, რაც ადგილზე წარმოებას შეუწყობს ხელს (Associazione Strada Europea della Ceramica, 2018)⁵.

→ რეგულაციები და საავტორო უფლებების დაცვა

ტრადიციულ პროდუქტებს ესაჭიროება მთავრობის მხრიდან დაცვა რეგულაციების შემუშავებაში, პროდუქტების თვითმყოფადობის შენარჩუნებაში, მარკირებასა და ბრენდირებაში. ტრადიციული პროდუქტის პოპულარიზაციისა და დაცვის კიდევ ერთი მექანიზმია საავტორო უფლებების დაცვა, რომელიც დახმარებას უწევს აღნიშნული უფლებების მფლობელ თემებს და ქმნის მათი პროდუქტების დაცვის წინაპირობას. მნიშვნელოვანია ასევე ამ სფეროს ღირებულებათა ჯაჭვში მონაწილე მთელი სისტემისა და ელემენტების - გაგება.

საფრთხეები

- რეგიონში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა
- COVID 19 პოსტ პანდემიის პერიოდი

როგორც ექსპერტები და დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, ტურიზმის ბაზარზე არსებული გამოწვევების ფონზე გაჩნდა ახალი შესაძლებლობები. ამ თვალსაზრისით, განსაზღვრულია სამი საკითხი:

- გამოცდილებითი ტურიზმის გამოცდილების გადაყვანა კონკრეტული გამოცდილებების დისტანციური გაზიარების ონლაინ პრაქტიკაზე;
- შიდა ტურიზმის განვითარების პოტენციალის წარმოქმნა;
- მოკლევადიანი გეგმების დასახვა და ტურიზმის არსებულ სტრატეგიაში ცვლილებების შეტანა.

პოლიტიკის შესაძლო ვარიანტები

ყველა ზემოაღნიშნული შედეგების ანალიზისთვის, კერძოდ, რა შეიძლება გაკეთდეს ძლიერი მხარეების/შესაძლებლობების გამოსაყენებლად და სუსტი მხარეების/საფრთხეების შესამცირებლად, გამოყენებულია TOWS მეთოდი, რომელიც ეფექტური საშუალებაა გამოწვევების/ჩარევის სფეროების და სტრატეგიული მიზნების გამოსავლენად.

ცხრილი 1 TOWS

გამოვლენილი მხარეები	გამოწვევა / ჩარევის სფეროები
----------------------	------------------------------

წარმოდგენებს, მონაწილეობას იღებენ ხელნაკეთი ნივთების დამზადებაში. მათ ასევე საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უზბეკებისთვის მნიშვნელოვანი კერძის - ფლავის მომზადებაში და შემდეგ მის დაგემოვნებაში.

⁵ კერამიკის ევროპული მარშრუტი (ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული კულტურული მარშრუტი 2012 წლიდან) მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის ღირებულების მინიჭებას, რაც უკავშირდება კერამიკის წარმოებას და მის ძველ ტრადიციას, ქმნის მდგრად და კონკურენტუნარიან ტურისტულ შეთავაზებას, არა მხოლოდ ნიბუშებსა და კოლექციებს, ასევე მთელ ცოცხალ კულტურას, რაც ამ სფერომ წლების განმავლობაში უწყვეტად შემოინახა <https://www.europeanrouteofceramics.eu/>

Common borders. Common solutions.



ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები	შესაძლო ღონისძიებები
<ul style="list-style-type: none"> • მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობა და კულტურა, შენარჩუნებული სოციალური პრაქტიკა და სხვა ტრადიციები • ადგილობრივი ცოდნა, რესურსები და ტალანტები • კულტურული მარშრუტების სამმართველოს შექმნა, 2021 წელს დაგეგმილი საკონსულტაციო ფორუმი • ადგილზე მართვის ორგანიზაციების (DMO) დაარსება • ტრადიციულობის და ადგილწარმოშობის აღმნიშვნელი ნიშნების დანერგვა, რეგულაციები და საავტორო უფლებების დაცვა • კავკასიის რეგიონში კონკურენტუნარიანი მდებარეობა • ტრანსსასაზღვრო და საერთაშორისო თემატური HCBET მარშრუტების ორგანიზება • გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნა რეგიონებში მოგზაურობებზე 	<ul style="list-style-type: none"> • ტურისტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ავთენტური პროდუქტის შექმნა • ინტეგრირებული თემატური ტურისტული მარშრუტების მოწყობა და ინტერპრეტაცია. • თემატური მარშრუტების შექმნა და ევროპის კულტურულ მარშრუტებთან დაკავშირება • ევროპის საბჭოს ფორუმზე და სხვა საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილეობა გამოცდილებითი და შემოქმედებითი კულტურული მარშრუტების პოპულარიზაცია • თვითმართველობის თანამონაწილეობითი პრაქტიკის - თემზე დაფუძნებული აქტივობების გაძლიერება • ტრადიციულობის და ინტელექტუალური საკუთრების სახელმძღვანელო მითითებების ინტეგრირება HCBET -ის ტურისტულ პროდუქტში • კომბინირებული, ტრანსსასაზღვრო ტურისტული პროდუქტების შექმნა • თემატური ფესტივალების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და საერთაშორისო ფესტივალების პროგრამაში ჩართვა • ადგილობრივი ბაზრისთვის შეთავაზებების შემუშავება
სუსტი მხარეები და საფრთხეები	შესაძლო ღონისძიებები
<ul style="list-style-type: none"> • ნაკლებად დივერსიფიცირებული და ხარისხიანი პროდუქტი • სფეროს სიახლე და მის შესახებ არასაკმარისი ცნობიერება • არასათანადო ტურისტული ინფრასტრუქტურა • პერსონალის არასათანადო/არასაკმარისი კვალიფიკაცია და ცოდნა • ფინანსური შესაზღვრობების სიმცირე სერვისების ხარისხის გაზრდისთვის • ტურპროდუქტის არასაკმარისი ინტერპრეტაცია და მარკეტინგი • შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციების ზრდის ტენდენცია და ადგილობრივი ცოდნის დაკარგვა 	<ul style="list-style-type: none"> • მიზნობრივი, ხარისხიანი ტურ-პროდუქტის შექმნა, მათ შორის. საფეხმავლო და ველო მარშრუტების შემუშავება • განმარტებების შემუშავება, რესურსების და მრავალფეროვნების დასაცავად სახელმძღვანელო პრინციპების ტურპროდუქტში ინტეგრაცია; ვორქშოპების ორგანიზება, საერთო სივრცეების (ჰაბების) შექმნა პროფესიული კავშირების შექმნის, ცოდნისა და პრაქტიკის გასაზიარებლად. • HCBET -ს ტურპროდუქტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის სუვენირებისა და ტრადიციული სარეწაო სახელოსნოების მოწყობის ხელშეწყობა • ტრენინგების ორგანიზება • ახალი ინსენტივების დანერგვა, რეკომენდაციების გაწევა „აწარმოე საქართველოს“ და „შემოქმედებითი საქართველოს“ მომდევნო პროგრამებისთვის • ინოვაციურ პლატფორმებზე შემოქმედებითი ტურპროდუქტის შეთავაზება; მწარმოებლების ცოდნას/უნარების გაძლიერება ციფრულ მარკეტინგსა და სოც.ქსელების ადმინისტრირებაში. • ახალგაზრდების ჩართვა ტურისტულ აქტივობებსა და ადგილობრივი ცოდნის შენარჩუნებაში • მულტისექტორული თანამშრომლობის გაძლიერება



<ul style="list-style-type: none"> • სუსტი თანამშრომლობა რეგიონულ და სახელმწიფო დონეზე • არასტაბილური გარემო • COVID 19 პოსტ პანდემიის პერიოდი 	<p style="text-align: center;">⇒</p> <ul style="list-style-type: none"> • სათემო პროექტების მხარდაჭერა ტურისტული პირობების გაუმჯობესებისა და ადგილის კეთილმოწყობისთვის • კონკრეტული გამოცდილებების დისტანციური გაზიარების ონლაინ პრაქტიკაზე გადაყვანის ხელშეწყობა
---	---

სტრატეგიული ხედვა, მიზნები და სამოქმედო გეგმა

2030 წლისთვის საქართველო იქნება კონკურენტუნარიანი მემკვიდრეობაზე და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის დანიშნულების ადგილი შავი ზღვის აუზის რეგიონში, მდიდარი ცოცხალი კულტურისა და მაღალი ხარისხის მომსახურების საფუძველზე. ქვეყანა ტურისტებისთვის ქმნის პირობებს პრაქტიკაში მონაწილეობის და ავთენტური გამოცდილებების მისაღებად, ხოლო ადგილობრივი თემებისთვის - სოციალური და ეკონომიკური სარგებლის გასაზრდელად; ამავე დროს, იგი უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას ტურისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობაში და ტურისტული შემოსავლების ზრდას ქვეყანაში.

სტრატეგიული მიმართულებები



სტრატეგიის მიზნებია:

- სოციალური მორგებული ტურისტული
გაზრდილია ტურისტული შემოსავლები და ადგილობრივი მოსახლეობის და ეკონომიკური სარგებელი, კონკურენტუნარიანი, ბაზარზე პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებებით
- ნარჩუნდება ქვეყნის მემკვიდრეობა და ცოცხალი კულტურა
გრძელვადიან პერსპექტივაში
- მარკეტინგის და სწორი კომუნიკაციის პირობებში
გაზრდილია საერთაშორისო შემოქმედებით და გამოცდილებითი ტურიზმის მიზნობრივ ბაზრებზე ქვეყნის ცნობადობა, სანდოობა და იმიჯი
- მართვა ეხმანება მულტისექტორული და თანამონაწილეობრივი განვითარების მიდგომებს, სადაც გათვალისწინებული ადგილობრივი თემის ჩარულობა და სხვადასხვა დონეზე თანამშრომლობა

ცხრილი 2 HCBET განვითარების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიული ქმედება	სტრატეგიული ქმედების მიზან(ებ)ი	სტრატეგიული ქმედების შესაძლო შედეგ(ებ)ი	შესაძლო პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარე(ები)
1. ქვეყნის მრავალფეროვანი ცოცხალი კულტურის საფუძველზე ავთენტური, კონკურენტუნარიანი HCBET ტურისტული პროდუქტების და სერვისების განვითარება	1.1 თემატური ტურ-პროდუქტის შექმნა, სადაც ინტეგრირებული ადგილობრივი რესურსები და ცოცხალი კულტურის ელემენტები	1.1.1. მატერიალური და არამატერიალური კულტურული რესურსების ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე	GNTA, კულტურული მარშრუტების სამმართველო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ეროვნული მუზეუმი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, DMOs, LAGs, ეკოტურიზმის ასოციაცია, გასტროტურიზმის ასოციაცია, TOs, კვლევითი ცენტრები, EU, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა
		1.1.2 სულ მცირე ერთი ხალხური თამაშობანის/ რიტუალის ან ფოლკლორული სანახაობის კოსტიუმირებული იმპროვიზაცია	
		1.1.3 სეზონურობის შემცირება - ზამთრის შეთავაზებებისა და ადგილზე ხანმოკლე ტურისტული პროგრამების შექმნა	
	1.2. კულტურულ ღირებულებებზე მორგებული, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა და მართვა;	1.2.1 მარშრუტების, განვითარების, მოწყობისა და მართვის სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის DMO-ებთან შეთანხმებით	GNTA, კულტურული მარშრუტების სამმართველო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ეროვნული მუზეუმი, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, DMOs, LAGs, ეკოტურიზმის ასოციაცია,

			გასტროტურიზმის ასოციაცია, TOs, ღონისძიების მართვის ორგანიზაციები
		1.2.2. ტურისტულ ადგილებში საგანმანათლებლო თემატური მარშრუტების შემუშავება და მონიშვნა;	
		1.2.3 პროდუქტი/სერვისის სტუმრის მისაღები და პროდუქტის სადემონსტრაციო სივრცეების/ადგილების საჭირო ინვენტარიზაციით აღმოჩენა	
	1.3 ინოვაციური და მომგებიანი შეთავაზებების მიზნით ადგილზე და რეგიონში შესაძლებლობების გაზრდა	1.3.1 სასწავლო მასალების შემუშავება და ტრენინგ კურსების ორგანიზება HCBET ის პროდუქტის განვითარების, ინტერპრეტაციის და მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მისაღებად	GNTA, პროფესიული გადამზადების ცენტრები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, DMOs, LAGs, ეკოტურიზმის ასოციაცია, გასტროტურიზმის ასოციაცია, TOs, ღონისძიების მართვის ორგანიზაციები, airbnb.com, Expogo.ge
		1.3.2 პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად მემკვიდრეობის და კულტურის სასწავლო მოდულის შემუშავება და დანერგვა	
		1.3.3. ტურისტული პროდუქტის/სერვისის მომწოდებლების უნარების გაძლიერება სტუმრის მიღების, საქმიანობის მართვის, პროდუქტის და მომსახურების ხარისხის სტანდარტის, მარკეტინგსა და სოც.ქსელების ადმინისტრირების პრაქტიკაში	
		1.3.4 გიდების კვალიფიკაციის ამაღლება კულტურული ტურის გაძლიერების, თემის ინტერპრეტაციის კუთხით	

<p>2. კულტურული მატერიალური და არამატერიალური რესურსების და მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენება და დაცვა</p>	<p>2.1. მემკვიდრეობის და კულტურული რესურსების შესახებ ცნობიერების ამაღლება</p>	<p>2.1.1. HCBET ის განმარტებების დანერგვა; კვლევების ჩატარება და სემინარებსა და ფორუმებზე შედეგების დემონსტრირება</p>	<p>ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, ილიაუნი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, DMOs, LAGs, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა</p>
		<p>2.1.2 თანამედროვე პლატფორმის და ჰაბების შექმნა და ფუნქციონირება, ცოდნის გაზიარებისა და თაობიდან თაობას შორის ინფორმაციის გადაცემის ეფექტურობის და ასევე პროფესიული კავშირების გასაძლიერებლად</p>	
	<p>2.2 კულტურული რესურსების დაკარგვის თავიდან აცილება</p>	<p>2.2.1 ახალგაზრდების HCBET საქმიანობაში ჩართვის მოტივაციის გაზრდა და მათი ღონისძიებების ორგანიზებაში ჩართვით</p> <p>2.2.2 ტრადიციულობის და ინტელექტუალური საკუთრების სახელმძღვანელო მითითებებისა და სათანადო ხარისხის ნიშნის HCBET - ის პროდუქტში ინტეგრირება</p>	
<p>3. HCBET პროდუქტის თვალსაჩინოობისა და ტურიზმის ბაზართან წვდომის გაძლიერება და ქვეყნის HCBET საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციის და ნდობის გაზრდა</p>	<p>3.1 ეფექტური მიზნობრივი ორგანიზაციული და მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება</p>	<p>3.1.1. ინოვაციური პლატფორმებზე ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტი/შეთავაზების ბაზარზე წვდომა აპლიკაციების და ონლაინ პლატფორმების დამოყენებით</p> <p>3.1.2 თემატური მარშრუტების პოპულარიზაცია, ინტეგრირება ევროპის კულტურულ მარშრუტებთან, მათ შორის შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ტურისტული (ტარნსსასაზღვრო) პროგრამების შექმნა</p>	<p>ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, DMOs, LAGs, შემოქმედებითი საქართველო, ტურიზმის ალიანსის წევრი ორგანიზაციები, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა</p>

		<p>3.1.3 სარეკლამო მასალების მომზადება DMO/TIC -ისთვის და ღონისძიებებზე გასავრცელებლად</p>	
		<p>3.1.4. პროდუქტების სარეკლამო ღონისძიებების (მაგ., შემოქმედებითი/კრეატიული მასპინძლის ჯილდო) დანერგვა, სხვადასხვა ღონისძიებებზე, მათ შორის Tourism Award-ზე წარსადგენად</p>	
	<p>3.2 ქსელური თანამშრომლობის გაძლიერება ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე</p>	<p>3.2.1 ოსტატების ჩართულობის და პოპულარობის გაზრდა ტურისტულ ბაზარზე (ინფო ტურების ორგანიზება, ტურ პროგრამებში ინტეგრირება)</p>	
		<p>3.2.2. წამახალისებელი ვაუჩერების სისტემის დანერგვა (მაგ.სასტუმროში დარჩენით უფასო ბილეთი მუზეუმში) ობიექტებზე ყოფნის ხანგრძლივობის და ადგილზე თანამშრომლობის გასაზრდელად</p>	
		<p>3.2.3. თემატური ფესტივალების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და საერთაშორისო ფესტივალების პროგრამაში ჩართვა.</p>	
<p>4. სექტორის ეფექტური მართვა - მულტისექტორული თანამშრომლობის, HCBET-ის ეფექტური სისტემების და თანამონაწილეობითი მიდგომების გაძლიერება.</p>	<p>4.1 თვითმართველობის თანამონაწილეობითი პრაქტიკის - თემზე დაფუძნებული აქტივობების გაძლიერება</p>	<p>4.1.1 სათემო პროექტების განხორციელება და ადგილზე მედეგობის, მრავალფეროვნების და თანამშრომლობის პრაქტიკის ხელშეწყობა.</p>	<p>შემოქმედებითი საქართველო, GNTA, ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, DMOs, ტურიზმის ალიანსის წევრი ორგანიზაციები, EU, USAID ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა</p>
	<p>4.2 სამრჩევლო საბჭოს/პლატფორმის კოორდინაცია</p>	<p>4.2.1 სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ინტერდისციპლინარული და მულტისექტორული თანამშრომლობით</p>	



სტრატეგიული ქმედება	სტრატეგიული ქმედების მიზან(ებ)ი	სტრატეგიული ქმედების შესაძლო შედეგ(ებ)ი	შესაძლო პასუხისმგებელი დაინტერესებული მხარე(ები)
---------------------	---------------------------------	---	--

დასკვნები

სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში მდგრადი განვითარების საერთო მიზნის მისაღწევად მოითხოვს რამდენიმე დაწესებულებისა და პირის თანამშრომლობას. ამ აუცილებელი ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად, ძირითადი პასუხისმგებლობა ტურიზმის სექტორზე საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას ეკისრება და შესაბამისად, ის უზრუნველყოფს საქმიანობის კოორდინაციას. ამასთან, სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სასურველია კულტურის სამინისტროში არსებულ კულტურის მარშრუტების სამმართველოსთან და შემოქმედებითი საქართველოს დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობა.

სტრატეგიის განხორციელებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული მიდგომის განვითარება, რაც დაინტერესებული მხარეების გადაწყვეტილების პროცესებში ჩართვას (განსაკუთრებით, „ქვემოდან-ზევით“ მიდგომით) უზრუნველყოფს. ამ მიზნით, საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია ითანამშრომლებს ადგილობრივ ხელისუფლებებთან, ადგილის მართვის ორგანიზაციებთან (DMO), სამოქალაქო სექტორთან (ადგილობრივი განვითარების ჯგუფებთან (LAG), აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებებთან („ამაგ“-ი) და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან).

სტრატეგიის შესაფასებლად საჭიროა განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები მათზე სტრატეგიის გავლენის შესაფასებლად. დასახული გეგმის განხორციელების მონიტორინგისთვის რეკომენდირებულია მრჩეველთა საბჭოს დაარსება, დაინტერესებული მხარეების მიერ განხორციელების ეტაპის მუდმივი, ერთდროული მონიტორინგის მიზნით. მრჩეველთა საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ, ფიზიკურად ან ვირტუალურად.



რეგიონული სამოქმედო გეგმა: საბერძნეთი

რეგიონული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ძირითად დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია პრაქტიკა და პროცესები საბერძნეთის შავი ზღვის აუზის ორ რეგიონში - ცენტრალურ და აღმოსავლეთ მაკედონიასა და თრაკიაში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის (შემდგომში შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონი). ის ფოკუსირებულია რეკომენდაციების კომპლექსზე, რომელიც განხორციელებულ უნდა იქნას კერძო და სახელმწიფო სექტორიდან ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული მხარეები მიერ, გამოცდილებითი ტურიზმის შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის.

მიმდინარე სიტუაცია: ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები

შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონს მდიდარი და მრავალფეროვანი მატერიალური და არამატერიალური კულტურა აქვს წინაისტორიული პერიოდიდან თანამედროვე პერიოდამდე. შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის ორივე ადმინისტრაციულ რეგიონს, ცენტრალური და აღმოსავლეთ მაკედონიასა და თრაკიის რეგიონებს კარგად განვითარებული ტურისტული პროფილი აქვს.

მატერიალურ კულტურულ რესურსებთან დაკავშირებით, შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონი მოიცავს უძველესი მაკედონიის ტერიტორიების უმრავლესობას, სადაც განთავსებულია საბერძნეთში არსებული იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის 18 ობიექტიდან 4 ობიექტი და მნიშვნელოვანი უძველესი ქალაქები. რეგიონის დედაქალაქი, თესალონიკი, მიზიდულობის მნიშვნელოვან პოლუსს წარმოადგენს გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების პოტენციალით. სხვა უფრო პატარა ქალაქებს, როგორცაა, ვეროია, ბიზანტიური პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლებით და ქსანთი გამორჩეული არქიტექტურით, ასევე აქვთ გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების პოტენციალი. ძირითადი ბუნებრივი რესურსები, როგორცაა, ოლიმპოს მთა, საბერძნეთის უმაღლესი მთა, რომელიც ბერძენი ღმერთების სამშობლოდაა ცნობილი და ათონის მთა, იუნესკოს მემკვიდრეობის მესამე ობიექტი, გამოცდილებითი ტურიზმის გამორჩეული ლოკაციებია.

რაც შეეხება არამატერიალურ რესურსებს, შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონს ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები აქვს, რომლებიც შესანიშნავ და მრავალფეროვან ადგილობრივ კულტურას ქმნის. ზოგიერთ სოფელში ზოგიერთი ცნობილი რიტუალი ასევე შემონახულია თავდაპირველი სახით, ბულგარეთის ტერიტორიებზე შემონახული რიტუალების მსგავსად. შავი ზღვის აუზის საბერძნეთის ორივე რეგიონში სხვადასხვა ადგილების ცნობილ ადგილობრივ სამზარეულოსა და გასტრონომიულ ადგილებს შეუძლია დამატებით შეუწყონ ხელი გამოცდილებითი ტურიზმის გარდაქმნას.

მომხმარებელთა გამოკითხვის თანახმად, მომხმარებელთა უმრავლესობის მოგზაურობის ძირითადი მიზანია ახალი ადგილების აღმოჩენა და კონკრეტულ ადგილზე ცხოვრების



კულტურის შესწავლა, ასევე მაღალი ინტერესია მემკვიდრეობისა და კულტურის ობიექტებზე ვიზიტის მიმართ. როგორც ჩანს, მოგზაურებს სურთ მეტის გადახდა დასამახსოვრებელ და ინფორმაციულად მდიდარ ტურისტულ გამოცდილებებში და თავიანთი კომფორტის დათმობა დასამახსოვრებელი გამოცდილების მიღების სანაცვლოდ.

კვლევამ გამოავლინა გამოცდილებითი ტურიზმის შინაარსის მკაფიო განსაზღვრების არარსებობა, რომელიც „ზოგად ტერმინს“ წარმოადგენს ან არაა სრულად გაგებულ. გარდა ამისა, დაფიქსირებულია შეუსაბამობა ტურისტული საწარმოებისა და გამოცდილებების არსებულ და პირობით კატეგორიზაციებს შორის, რადგანაც გამოცდილებითი ტურიზმის სექტორში არსებული ზოგიერთი კომპანია ვერ იქნა კლასიფიცირებული ტურიზმის არსებულ კატეგორიებში. ეს შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც არსებული ტურისტული მოდელის, კონტექსტისა და შინაარსის განსაზღვრების გადახედვა ტურიზმსა და მის ალტერნატიულ ფორმებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოდერნიზების გზით.

არსებითად მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ბაზის გადახედვა გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის. მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომელიც ხელს შეუწყობს გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებას, მოიცავს ტურისტულ კომპანიებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის თანამშრომლობას ადგილობრივ თემსა და მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მხარდასაჭერად. ციფრული ტექნოლოგიები უზრუნველყოფს გამოცდილებითი ტურიზმის ახალ სფეროებს, იძლევა ტურისტული პროდუქტების დიფერენცირების საშუალებას და ამდიდრებს ვიზიტორების გამოცდილებას ვირტუალური საშუალებების გამოყენებით. COVID-19 გამოწვეულ პანდემიას, რომელიც მართალია პრობლემას წარმოადგენს, ასევე შეუძლია გარდაიქმნას გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობად.

საჭიროა ინტეგრირებული პოლიტიკა გამოცდილებითი კულტურული ტურიზმის სტრატეგიების ხელშეწყობისა და განხორციელებისთვის ყველა დონეზე. არასათანადო და არასაკმარისი კანონმდებლობა ტურიზმის სფეროში, სტრატეგიული დაგეგმვისა და შინაარსის მკაფიო განსაზღვრების არარსებობასთან ერთად, აფერხებს გამოცდილებითი ტურიზმის აქტივობებისა და კომპანიების განვითარებას. ეს ნაწილობრივ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ მასობრივი ტურიზმი ჯერ კიდევ დომინირებს ტურიზმის სექტორში მთელი საბერძნეთის ტერიტორიაზე, შავი ზღვის აუზის საბერძნეთის ორი რეგიონის ჩათვლით. ქვეყნის მთავრობამ უნდა შეიმუშავოს ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა ტურიზმის ალტერნატიული ფორმებისთვის, გამოცდილებით ტურიზმის ჩათვლით.

შავი ზღვის აუზის საბერძნეთის ორივე რეგიონის რეგიონულ მთავრობას ასევე აკლია კულტურული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სტრატეგიული დაგეგმვა, რაც იწვევს ფუნქციონირების პრობლემებს, ასევე მისადგომობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. უნდა არსებობდეს საკმარისი ურთიერთქმედება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებს შორის და მოშორებულ გეოგრაფიულ ადგილებსა და ცენტრალურ ტერიტორიებს შორის კავშირი. გრძელვადიანი სტრატეგიული პროგრამა და დაგეგმვა, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს, მართვისა და მარკეტინგის პრაქტიკას, საჯარო და კერძო სექტორს

Common borders. Common solutions.



შორის თანამშრომლობას, არსებითი მნიშვნელობის მქონე გამოცდილებითი ტურიზმისთვის. ასევე მნიშვნელოვანია განსხვავებული მიდგომა და გეოგრაფიული ტერიტორიების მართვა, მათი თავისებურებებისა და კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით. ეს შეიძლება ჩანაცვლდეს ალტერნატიული საოპერაციო ორგანოებით, როგორცაა ადგილის მართვის ორგანიზაცია, რომელსაც თითოეული ადგილის უპირატესობებისა და სპეციალური მახასიათებლების ღრმა ცოდნა გააჩნია. ამგვარად, ტერიტორიები და ადგილები, რომლებიც შეიძლება საინტერესო არ იყოს, განავითარებენ თავიანთ შედარებით უპირატესობებს და შექმნიან მაღალი ხარისხის გამოცდილებით პროდუქტს.

თანამშრომლობის არარსებობა გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში ყველა (სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ) დონეზე დაფიქსირებულია, როგორც არსებითად მნიშვნელოვანი პრობლემა. მაღალი ხარისხის გამოცდილებითი პროდუქტები და სერვისები საჭიროებს ტურიზმის სფეროში ჩართული ყველა მხარის ეფექტურ თანამშრომლობას. აქედან გამომდინარე, საჭიროა დიდი ძალისხმევის ინვესტირება და რამდენიმე საჯარო და კერძო სუბიექტის მობილიზება დარგის არსებით მონაწილეებს შორის ეფექტური თანამშრომლობისა და სოლიდარობის მისაღწევად და მიმზიდველი, მაღალი ხარისხის გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის შესაქმნელად.

გამოცდილებითი ტურიზმის კომპანიები და პროდუქტები მდგრადი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ პროდუქტს ესაჭიროება მუდმივი უკუკავშირი და ადაპტირება გაუთვალისწინებელ ან გადაუდებელ პირობებთან, როგორცაა, COVID-19 გამოწვეული პანდემია, რათა გახდეს უფრო მდგრადი და გადალახოს ყველა გამოწვევა. კრეატიულობა აუცილებელი კომპონენტია ტურისტული გამოცდილების გასაძლიერებლად და ტურისტული ადგილებისთვის უნიკალური ატმოსფეროს შესაქმნელად. ამგვარად, მნიშვნელოვანია ტურისტული კომპანიების ინოვაციური ქცევის გაძლიერება გამოცდილებით აქტივობებში კრეატიული იდეების განხორციელებით ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვით. საბოლოოდ, დაბალი ხარისხის გამო საქმიანი რეპუტაციის შელახვის რისკის შესამცირებლად, აუცილებელია ტურისტულ კომპანიებში შეთავაზებული პროდუქტის ხარისხის კონტროლის ან ხარისხის სერტიფიცირების დაწესება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია SWOT ანალიზი, რომელიც ფოკუსირებულია შიდა გარემოს (რესურსები, მომხმარებლები და ადგილობრივი მოსახლეობა, ტურისტული პროდუქტი და კომპანიები, პოლიტიკა და მართვა) ძლიერ და სუსტ მხარეებზე და გარე გარემოს შესაძლებლობებსა და საფრთხეებზე.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p><u>რესურსები: მატერიალური და არამატერიალური კულტურა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ხანგრძლივი ისტორია/მრავალი ისტორიული ძეგლი/მსოფლიო მემკვიდრეობა 	<p><u>პოლიტიკა/მართვა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო-სამართლებრივი არარსებობა <p>ბაზის</p>



- თესალონიკი (რეგიონის დედაქალაქი): მაღალი ღირებულების მემკვიდრეობის რესურსები/კარგად განვითარებული ურბანული ტურიზმი
- სხვა მნიშვნელოვანი ქალაქები მნიშვნელოვანი არქიტექტურითა და ძეგლებით
- მრავალფეროვანი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები
- ხალხის კულტურული პროფილი
- ცნობილი სამზარეულო, გემოების მოზაიკა, გასტრონომიული დანიშნულების ადგილი
- მდიდარი ბუნებრივი რესურსები, დაკავშირებული მემკვიდრეობასთან (ოლიმპოს მთა, ათონის მთა)

მომხმარებლები და ადგილობრივი მოსახლეობა

- ტურისტების აქტიური მონაწილეობა
- ადგილობრივი საზოგადოების დადებითი განწყობა გამოცდილებითი აქტივობების მიმართ
- გამოცდილებითი ტურისტების ნაკადების მიმართვა არა მხოლოდ ისტორიული ღირშესანიშნაობების ან ძირითადი ისტორიული ადგილებისკენ, არამედ ასევე დაფარული ისტორიის მქონე ადგილებისკენ

პროდუქტი/საწარმოები

- კარგად განვითარებული ტურისტული პროფული/იდენტობა (საზღვაო ტურიზმი, ეკოტურიზმი, აგროტურიზმი, ღვინის, სპორტული, კულტურული, გასტრონომიული, რელიგიურ-მომლოცველობითი, თერმულ-თერაპიული ტურიზმი)
- ანთროპოცენტრული მიდგომა
- მრავალგანზომილებიანი პარამეტრების ინტეგრირება
- დანიშნულების ადგილი, როგორც საერთო და ინტეგრირებული გამოცდილება
- მაღალი ხარისხის პროდუქტი
- კარგად განვითარებული ციფრული მარკეტინგის სტრატეგია
- კარგად განვითარებული გამოცდილებითი აქტივობები: კულტურული (ალტერნატიული საექსკურსიო ტურები, თემატური გასეირნება, ღვინის მარშრუტები), სასოფლო-სამეურნეო (ღვინის წარმოება და მეფუტკრეობა, ეთერზეთების საწარმოები, სოკოსა და ტრადიციული სამკურნალო

- გრძელვადიანი სტრატეგიული პროგრამისა და დაგეგმვის არარსებობა
- თანამშრომლობის არარსებობა (სახელმწიფო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე)
- კულტურული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის წარუმატებელი მართვა
- ფუნქციონალური კულტურული ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტირების პრობლემები
- არასაკმარისი ტურისტული მოდელი და კონტექსტი

პროდუქტი/საწარმოები

- დაფინანსების ნაკლებობა
- ადგილობრივი სწავლება-გავლილი პერსონალის ნაკლებობა
- განსხვავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა გამოცდილებითი ტურიზმის კომპანიებსა და ტურისტულ სააგენტოებში
- თანამშრომლობის არარსებობა საჯარო და კერძო სექტორში
- ტურისტების სეზონური და გეოგრაფიული კონცენტრაცია
- ზეწოლა სანაპირო რესურსებზე მასობრივი ტურიზმის გამო
- გამოცდილებითი ტურიზმის სექტორში სარესტორნო ინდუსტრიაში ჩართულობის ნაკლებობა
- დაინტერესებულ მხარეთა განსხვავებული მსოფლმხედველობა
- ტურიზმთან დაკავშირებული კომპანიებიდან მცირე რაოდენობას აქვს განვითარებული გამოცდილებითი აქტივობები
- გამოცდილებითი ტურიზმის განსაზღვრებისა და მასშტაბების შეზღუდული გაგება



ბალახების კრეფა), სათავგადასავლო (კანოე-კაიაკი, ჯომარდობა, მთიდან ველოსიპედით დაშვება)

- სპეციალურად შემუშავებული ტურები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, ხანდაზმულებისა და ნაკლები ფინანსური შესაძლებლობების მქონე პირებისთვის
- ჯილდოები ინოვაციური გამოცდილებითი აქტივობებისთვის

შესაძლებლობები

საფრთხეები

- COVID-19 (მიღებული გამოცდილება)
- თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებს შორის
- საერთო კულტურული რესურსების დანიშნულება
- ევროპული ტურიზმის პოლიტიკა და დაფინანსების ინსტრუმენტები
- ახალი სპეციალური ბაზა სივრცითი დაგეგმვისა და მდგრადი განვითარებისთვის
- ახალი ციფრული ტექნოლოგიები
- ტურიზმში ეკოლოგიურად დასაბუთებული პოლიტიკისა და სტრატეგიების დამტკიცება
- თანამშრომლობა ტურისტულ კომპანიებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის
- ინოვაციური ტექნოლოგიური პრაქტიკის განხორციელება

- COVID-19 (ზემოქმედება მოგზაურობაზე)
- გლობალური კრიზისები (ეკონომიკური)
- მასობრივი ტურიზმის დომინირება
- კონკურენტული ტურიზმის ბაზრები
- ტურისტების მოთხოვნებისა და საჭიროებების მუდმივი ცვლილება
- ბუნებრივი და კულტურული რესურსების ბოროტად გამოყენება

სტრატეგიული პრიორიტეტები, ამოცანები და ქმედებები

რეგიონული სამოქმედო გეგმა შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის წახალისებისთვის, მოიცავს 4 სტრატეგიულ პრიორიტეტს (S):

- S.1. კულტურული რესურსების გაძლიერება და გამოყენება
- S.2. მაღალხარისხიანი და ინოვაციური გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის შემუშავება
- S.3. პოტენციალის განვითარება და გადასვლა გამოცდილებითი ტურიზმის მცირე და საშუალო საწარმოებზე
- S.4. საჯარო და კერძო პარტნიორობების ხელშეწყობა გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის

თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტი ასახავს კონკრეტულ ამოცანებს (იხილეთ სურათი ქვემოთ), რომლებიც განსაზღვრულია, როგორც სტრატეგიული ხასიათის ქმედებები.



სტრატეგიული პრიორიტეტი S.1. კულტურული რესურსების გაძლიერება და გამოყენება

შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონი კარგადაა ცნობილი თავისი მატერიალური და არამატერიალური რესურსებით და შეუძლია გახდეს გამოცდილებითი ტურიზმის მნიშვნელოვანი დანიშნულების ადგილი. ადგილობრივი კულტურა უზრუნველყოფს სხვადასხვა პრაქტიკის მიმოხილვას, რომელზეც გავლენას ახდენს ბერძნული და უფრო ფართო ბალკანური და ხმელთაშუა ზღვის კულტურა, ხოლო ზოგიერთი პრაქტიკა მოდის უძველესი, ბიზანტიური ან ოსმალური წარსულიდან. შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონი აერთიანებს ძლიერ ისტორიას და სხვადასხვა ისტორიული ძეგლების დიდ რაოდენობას, ამავდროულად ის დასახლებულია ღრმა კულტურული ფესვების მქონე ხალხით. მდიდარი ბუნებრივი რესურსების გათვალისწინებით, რეგიონს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებაში, როგორც ქვეყანაში, ასევე შავი ზღვის აუზის უფრო ფართო ტერიტორიაზე. განსაზღვრულია სამი ძირითადი მიზანი, რომელიც შეიძლება ემსახურებოდეს შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონებში კულტურული (მატერიალური და არამატერიალური) და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას. ამავდროულად ჩამოთვლილია შესაძლო ქმედებები და შესაბამისი შედეგები.

ამოცანა S1.01. რესურსების იდენტიფიკაცია შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონებში

რეგიონების რესურსების დეტალური იდენტიფიკაცია უნდა იყოს ძირითადი ამოცანა, რომლის საფუძველზეც შეიძლება შემდგომში შემუშავებულ იქნას წინადადებები გამოცდილებითი ტურიზმისთვის. აღსანიშნავია, რომ გამოყენებელი რესურსების შენარჩუნება შეუძლებელია. ამ ამოცანის კიდევ ერთი მიზანია მატერიალური და არამატერიალური რესურსების დამუშავება სივრცეში, რაც შესაძლებელს გახდის ადგილობრივი და ინფორმირებული პროდუქტების შეთავაზებას რესურსების კომბინაციის



გზით, რაც უზრუნველყოფს ზოგადად კულტურული, ბუნებრივი და გარემოსდაცვითი რესურსების მობილიზებას.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ხელმისაწვდომი რესურსების (მატერიალური/არამატერიალური, კულტურული/ბუნებრივი, ურბანული/სასოფლო და ა.შ.) რუკაზე დატანა და კატეგორიზაცია</p> <p>სივრცული იდენტიფიკაციის საშუალებების ილუსტრირება (ვიზუალიზაციის დაფა) (რესურსების სივრცული კონცენტრაცია, შესაძლო მარშრუტები, რესურსების ტიპები, რომლებიც ადგილის ხასიათსა და იერსახეს ქმნის)</p>	<ul style="list-style-type: none"> - რესურსების ხელმისაწვდომობისა და ტიპის მიმოხილვა / რესურსების დაცვა - რეგიონულ/ადგილობრივ ეკონომიკასა და ადგილობრივ თემებთან კავშირების განვითარება - ადგილობრივი რესურსების მობილიზება მდგრადი რეგიონული და ადგილობრივი განვითარებისთვის
<p>სხვადასხვა ტიპის რესურსების ინტეგრირება გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიებში</p>	

ამოცანა S1.02. რესურსების თვალსაჩინოებისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება

რესურსების თვალსაჩინოებისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება ფუნდამენტური ელემენტია დანიშნულების ადგილის პროფილის შექმნაში, რომელიც წახალისებს ვიზიტორებს კონკრეტული რეგიონის ასარჩევად.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ტურისტული დანიშნულების ადგილების მისაღწეობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურები</p> <p>რესურსების აღდგენა/შეკეთება/დაცვა</p>	<ul style="list-style-type: none"> - რესურსებისა და გამოცდილებითი პროდუქტების ხარისხისა და მიმზიდველობის გაუმჯობესება/მათთან წვდომის გაფართოება სპეციალური წვდომის საჭიროებების მქონე პირებისთვის
<p>ვიზიტორთა ინფორმაციის ონლაინ პლატფორმის შექმნა რესურსების განაწილებით მრავალთემატური თვალსაზრისით, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით</p>	<ul style="list-style-type: none"> - რესურსების თვალსაჩინოების გაუმჯობესება/გამოცდილებით ტურიზმზე მოთხოვნის ზრდა
<p>არქეოლოგიური ძეგლებისა და მუზეუმების პოპულარიზაცია და გამოყენება და ინტეგრირებული არქეოლოგიური მარშრუტების შექმნა</p>	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი კულტურული აქტივობების თვალსაჩინოებისა და მათთან წვდომის გაუმჯობესება, არსებული ტურისტული მოთხოვნის გამოყენებით
<p>ტურიზმის არსებული პროდუქტების ურთიერთკავშირი ადგილობრივი</p>	



კულტურული აქტივობების გამოცდილებასთან

ამოცანა S1.03. რესურსების მდგრადი გამოყენება

რესურსების მდგრადი გამოყენება არსებითად მნიშვნელოვანია რეგიონების რესურსების მიმდინარე და სამომავლო დაცვისთვის. უკიდურესად მნიშვნელოვანია არამატერიალური რესურსების დაცვა, რადგანაც ამ რესურსების ხშირად ფორმალური ხასიათის გამო, საჭირო იქნება მათი გამოყენება იმისთვის, რომ მოხდეს მათი კონსერვაცია. ამგვარად, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, გამოცდილებით ტურიზმს დიდი დახმარების გაწევა შეუძლია მათი დაცვის კუთხით, ნაცვლად მოხმარებისა. ყოველივე აღნიშნული უნდა ექვემდებარებოდეს მდგრადი განვითარების მიდგომას, რათა ხდებოდეს ადგილობრივი პირობების, თემებისა და წეს-ჩვეულებების პატივისცემა და რომ ტურისტების რაოდენობა არ აღემატებოდეს ადგილობრივი ადგილებისა და თემების გამტარუნარიანობას.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
მცირე/ადგილობრივი/საოჯახო ფირმების პოტენციალის გაძლიერება	– ზრდის ხელშეწყობა ადგილობრივი ეკონომიკისა და საზოგადოების მხარდასაჭერად
მდგრადი ბუნებრივი რესურსებისგან დამზადებული ადგილობრივი პროდუქტების გამოყენების ხელშეწყობა	– გარემოს მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა
ადგილობრივი რესურსების/პროდუქტების ინოვაციური გამოყენების მხარდაჭერა და განვითარება ადგილობრივი ცოდნისა და პრაქტიკის გამოყენებით	– ადგილობრივი კულტურის, ცოდნისა და პრაქტიკის დაცვა
ყოველწლიური ვიზიტების წინადადებების შემუშავება	– ტურიზმის მარაგების განაწილება მთელი წლის მანძილზე, სეზონურობის პრობლემასთან შეჭიდება და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა
საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების სისტემის შემუშავება რესურსების მდგრადი მართვის მონიტორინგისთვის	– რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა

სტრატეგიული პრიორიტეტი S.2. მაღალი ხარისხისა და ინოვაციური გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის შემუშავება





ტურიზმის სფეროში არსებული დღევანდელი გამოწვევები დაკავშირებულია მაღალ ხარისხთან, მდგრადობასა და ინოვაციასთან, რომლებიც ძირითადი ფაქტორები ხდებიან უნიკალური ტურისტული გამოცდილების განვითარებაში. გამოცდილებითი ტურისტული პროდუქტი შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონში წარმოადგენს სხვადასხვა კომპლექსური ელემენტების დინამიურ კომბინაციას. ამავდროულად, ტურისტული სერვისის ან პროდუქტის ინოვაცია მრავალგანზომილებიანია. ტურიზმის პროდუქტის ინოვაცია ძირითადად პროცესია, რომელიც ორ კომპონენტს შეიცავს:

- არატექნოლოგიურ კომპონენტს, რომელიც დამოკიდებულია მატერიალურ და არამატერიალურ ადამიანურ რესურსებზე, საორგანიზაციო სტრუქტურასა და ფაქტორებზე, რომლებსაც შეუძლიათ გაზარდონ მომხმარებელთა სერვისის ეფექტურობა (მარკეტინგი და ა.შ.);
- ტექნოლოგიურ კომპონენტს, რომელიც დამოკიდებულია ტექნოლოგიაზე, განსაკუთრებით, ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.

ამოცანა S2.O1. შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის ტურიზმის მოდელის რესტრუქტურისაცია

ტრადიციული მიდგომა მდგომარეობს ტურიზმის განვითარებაში „მზე და ზღვის“ მოდელის ასპექტიდან დანიშნულების ადგილის, როგორც ინტეგრირებული გამოცდილების კონცეფციისკენ, მდგრადობისა და ინოვაციის საშუალებით, ახალი ფორმებითა და სერვისებით, ხოლო სტრატეგიის მთავარი საყრდენია არსებული ტურისტული პროდუქტების ხარისხის გაძლიერება. მართალია, მასობრივი ტურიზმი კვლავაც უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონე ჩანს საბერძნეთში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისთვის, თუმცა მიმდინარე ტურისტული მოთხოვნა და მოდელი განიცდის დიდ ტრანსფორმაციას, გამოცდილება ხდება მოგზაურობის არსებითი ნაწილი, მრავალმხრივი პარამეტრების ინტეგრირებით, როგორცაა, გარემო, კულტურა, გასტრონომია და საერთო მდგრადობა. ასპექტების, როგორცაა, კულტურა და ადგილობრივი ტრადიციები, ბუნებრივ რესურსებსა და სპორტთან ინტეგრირებით, ტურისტები თავს გრძნობენ ადგილობრივ ცხოვრების სტილში ჩართულად, გამოცდილებების მიღებით და იღებენ დადებით შთაბეჭდილებებს დანიშნულების ადგილის შესახებ. არსებითი მნიშვნელობისაა ტურიზმის პროდუქტის დივერსიფიკაცია, კოორდინაციის ხელშეწყობით ტურიზმის სხვადასხვა სახეობებს შორის, როგორცაა, კულტურული, გასტრონომიული, სპორტული, რელიგიური ტურიზმი, აგრო-ტურიზმი, სასოფლო ტურიზმი და ა.შ. ყველა შემთხვევაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემის ყველა ნაწილის გააქტიურება და მონაწილეობა. გარდა ამისა, ინტეგრირებული ტურისტული პაკეტების (ტურიზმის კონკრეტულ ფორმებზე აქცენტით) შექმნის საუკეთესო საშუალებაა კლასტერების ან ქსელების ხელშეწყობა. ქსელები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას გეოგრაფიული ან თემატური ნიშნით და ამლიერებდეს ტურისტული პროდუქტის მიერ მდგრადობის საკითხების მოგვარების შესაძლებლობას.



ქმედებები

შესაძლო შედეგები

<p>ტურიზმის სხვადასხვა სახეობების ტურიზმის სტრატეგიებში ინტეგრირების წახალისება</p>	<ul style="list-style-type: none"> - მრავალგანზომილებიანი ტურიზმის გამოცდილების შექმნა - გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტებისა და სერვისების არჩევანის გაუმჯობესება - ტურიზმის სეზონურობის შერბილება
<p>ტურიზმის არსებული პროდუქტების დაკავშირება ადგილობრივი პროდუქტიული აქტივობების გამოცდილებასთან, ძირითადად მთავარ სექტორში</p>	
<p>ტურიზმის ქსელების (კლასტერების) ჩამოყალიბება და ოპერირება</p>	

ამოცანა S2.02. ტურიზმის სექტორში გამოცდილებითი პროდუქტის ხარისხის გაძლიერება

მეგობრული, მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტისა და გამოცდილების უზრუნველყოფა ღრმა, სახალისო და დასამახსოვრებელი გამოცდილების შექმნის არსებითი ნაწილია, რომელიც საბოლოოდ გავლენას ახდენს ვიზიტორთა კმაყოფილებაზე და ხელს უწყობს განმეორებით ვიზიტებს. განსაზღვრების მიხედვით, ტურიზმი საჭიროებს ხალხის მოძრაობას შავი ზღვის აუზის საბერძნეთის ორივე რეგიონში და მათ გარშემო. მგზავრობა - რკინიგზით, თვითმფრინავით, ბორნით, ავტობუსით, ველოსიპედით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებებით - შეიძლება იყოს ტურისტების (და ადგილობრივების) გამოცდილებების ძირითადი ასპექტი. ამგვარად, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მგზავრებისთვისაა განკუთვნილი, საშუალებას აძლევს მოგზაურებს ეწვიონ ნაკლებად ცნობილ ადგილებს და ისარგებლონ ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებებით - შეიძლება იყოს ტურისტების (და ადგილობრივების) გამოცდილებების ძირითადი ასპექტი. ამგვარად, ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, რომელიც ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მგზავრებისთვისაა განკუთვნილი, საშუალებას აძლევს მოგზაურებს ეწვიონ ნაკლებად ცნობილ ადგილებს და ისარგებლონ ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებებით. შიდა და საერთაშორისო მოგზაურების მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ინფრასტრუქტურა უნდა იყოს საიმედო, უსაფრთხო და ეფექტური. ინოვაციურ საინფორმაციო პლატფორმებსა და მდგრადობის მაჩვენებლების სისტემას ტურისტულ პროდუქტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც მომხმარებელთა კმაყოფილების, ასევე მომსახურების ხარისხის მდგრადი გაუმჯობესებისთვის. მდგრადობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტურისტული პროდუქტის ხარისხისა და პოტენციალის გაძლიერება ტურიზმის პროცედურების მოდერნიზებით და ხარისხის სერტიფიცირების სქემებში ჩართულობით.

ქმედებები

შესაძლო შედეგები

<p>წვდომისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება რეგულარული და უსაფრთხო ტრანსპორტირებით</p>	<ul style="list-style-type: none"> - გამოცდილებითი პროდუქტის ხარისხის გაძლიერება - ტურიზმის სეზონურობის შერბილება
--	---



<p>ვიზიტორთა საინფორმაციო პლატფორმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ინფორმაციას და იყენებს ინოვაციურ მეთოდებს</p>	
<p>ტურისტული სერვისების სერტიფიცირების პროცედურებისა და სპეციფიკაციების მოდერნიზება</p>	
<p>გამოცდილებითი პროდუქტის მდგრადი მართვის ინდიკატორების სისტემის შემუშავება</p>	

ამოცანა S2.O3. მარკეტინგისა და ბრენდირების პრაქტიკის ინტეგრირება გამოცდილებით პროდუქტში

მნიშვნელოვანია შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის მდგრადი გამოცდილებითი იდენტობის შექმნა და ტურისტულ გამოცდილებებში მისი პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის ზრდა. კოორდინირებული ძალისხმევა მარკეტინგისა და ბრენდირების კუთხით აუცილებელია კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნებისა და გაფართოების უზრუნველსაყოფად, იმგვარად, რომ შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონი გამოირჩეოდეს სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო დანიშნულების ადგილებისგან. გამოცდილებითი ბრენდირებისა და მარკეტინგის მიზანია ფოკუსირება არა მხოლოდ პროდუქტზე, არამედ ასევე იმაზეც, თუ რას წარმოადგენს გამოცდილება მომხმარებლისთვის.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის ნამდვილი გამოცდილებით ბრენდის განხორციელება</p>	<ul style="list-style-type: none"> - ძლიერი გამოცდილებითი იდენტობის შექმნა - შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის განსხვავება სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო დანიშნულების ადგილებისგან
<p>ციფრულ არხებში მარკეტინგის არსებობის გაძლიერება</p>	

სტრატეგიული პრიორიტეტი S.3. პოტენციალის განვითარება და გამოცდილებითი ტურიზმის მცირე და საშუალო საწარმოებზე გადასვლის მხარდაჭერა

საერთაშორისო დონეზე გამოცდილებითი ტურიზმის მიმართ მზარდი ინტერესის მიუხედავად, ტურისტული საწარმოების მხოლოდ მცირე პროცენტს აქვს განვითარებული გამოცდილებითი აქტივობები შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონში. შესაბამისად, ეს



სტრატეგიული პრიორიტეტი ითვალისწინებს გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებულ მდგრად საქმიანობაში ჩართული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას კოორდინირებული ინოვაციური ინიციატივების წახალისებით.

ამოცანა S3.01. გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების ხარისხის გაძლიერება

გამოცდილებითი ტურიზმის საწარმოების ხარისხის გაუმჯობესებისა და განმეორებითი ვიზიტების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს მრავალფეროვან გარემოში ხელმისაწვდომი მრავალფეროვანი აქტივობების კომბინაცია, მეგობრული და პროფესიული სამუშაო ძალა და სამუშაო კონტაქტები ადგილობრივ და სახელმწიფო დონეზე პარტნიორებს შორის. ყველა ეს ელემენტი ეხმარება კომპანიებს მაღალი ხარისხის გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის მიწოდებაში და გლობალური მასშტაბით მეტი მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის მიღწევაში. სხვადასხვა მცირე ტურისტულ საწარმოებს შორის თანამშრომლობის ქსელი გააუმჯობესებს მათ მდგრადობას კოორდინირებულ, შეკრულ და მომგებიან ტურიზმის ინდუსტრიაში ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზით. პოტენციური ხარისხისა და მდგრადობის სტანდარტები კომპანიებს ეხმარება ზრდაში, გაფართოებაში, კონკურენტუნარიანობის, მოქნილობისა და მდგრადობის შენარჩუნებაში. ტურისტული საწარმოების ხელშეწყობა, რომლებიც ფოკუსირებულია გარკვეულ ძირითად ჯგუფებზე, როგორცაა, ხანდაზმულები, შეზღუდული მოძილობის მქონე პირები და დაბალშემოსავლიანი ოჯახები, აფართოებს ტურიზმის ხელმისაწვდომობას და არეგულირებს სეზონურობის პრობლემებს. მეგობრული, მაღალხარისხიანი მომსახურება და პერსონალის სასიამოვნო ურთიერთქმედება არსებითი მნიშვნელობის მქონეა ტურისტული ბიზნესის ან დანიშნულების ადგილის წარმატებისთვის.

ქმედებები

შესაძლო შედეგები

<p>სამუშაო კონტაქტების დამყარება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებსა და სასტუმროებსა და რესტორნებს შორის ხარისხიანი, ადგილობრივი წარმოების პროდუქტების გამოსაყენებლად</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტურისტული საწარმოების ჰორიზონტალური ინტეგრაციიდან და ტურისტულ კომპანიებს შორის თანამშრომლობიდან სარგებლის ზრდა - საწარმოების ხარისხის გაუმჯობესება განმეორებითი ვიზიტების წახალისებლად - ძლიერი, მდგრადი, ეფექტური და კარგად განათლებული ტურისტული სამუშაო ძალის უზრუნველყოფა - ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება - სეზონურობის პრობლემების მოგვარება
<p>მინიმალური სტანდარტების განსაზღვრა და მხოლოდ იმ ტურისტული საწარმოების ხელშეწყობა, რომლებიც მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებენ</p>	
<p>ინოვაციური ტრენინგ პროგრამების შემუშავება სამუშაო ძალის განათლებისა და უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად</p>	



<p>ტურისტული კომპანიების წახალისება, რათა ისინი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სპეციალური სოციალური ჯგუფებისთვის და სპეციალური წვდომის საჭიროებების მქონე პირთათვის</p>	
--	--

ამოცანა S3.O2. მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციების წახალისება და მათი მდგრადობის გაძლიერება

შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონში გამოცდილებითი ტურიზმის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება გადამწყვეტ როლს ასრულებს სექტორის გაძლიერებაში, დინამური და მდგრადი განვითარების მიზნით. დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ტურისტული საწარმოების ინოვაციის წახალისებას და მდგრადობის გაძლიერებას. ინოვაცია და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები განმსაზღვრელი ფაქტორები გახდა ტურიზმის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობისთვის და მასთან დაკავშირებულ სხვა დარგებთან ურთიერთგაცვლის გაძლიერებისთვის. ტურისტულ კომპანოებში ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი საშუალებების გამოყენების გაფართოება ვიზიტორთათვის სპეციალიზებული ინფორმაციის მისაწოდებლად და დიალოგის წასახალისებლად, ტურიზმის პროცედურების გაციფრულებასთან ერთად, აუცილებელია იმისთვის, რომ შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონს ჰქონდეს ინოვაციური, მოქნილი და კომპლექსური ტურიზმის ინდუსტრია. ტურისტული საწარმოების ეკოლოგიურად მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მაღალი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად, მნიშვნელოვანია „მწვანე სერტიფიკატების“ შემუშავება ტურისტული კომპანიებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ეკოლოგიური პასუხისმგებლობის დადგენილ სტანდარტებს ტურისტულ ოპერაციებში.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ტურისტული საწარმოების რეესტრის მოდერნიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> - ტურიზმის ინდუსტრიაში ინოვაციების შემუშავება - ტურისტული საწარმოების მდგრადობისა და ეკოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესება
<p>ტურისტული საწარმოებისა და ინვესტორების მომსახურებისთვის პროცედურების გაციფრულება</p>	
<p>მცირე და საშუალო საწარმოების გამოცდილებით აქტივობებში ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი საშუალებების მხარდაჭერა</p>	
<p>ტურისტული კომპანიებისთვის მწვანე და ინოვაციური სერტიფიკატების ან/და წამახალისებელი პრიგრამების შემუშავება</p>	



<p>რჩევების მიცემა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლიათ ტურისტულ კომპანიებს თავიანთი ეკოლოგიური საქმიანობის გაუმჯობესება</p>	
---	--

სტრატეგიული პრიორიტეტი 5.4. საჯარო და კერძო პარტნიორობების ხელშეწყობა გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის

ტურიზმისთვის მდგრადი და ინოვაციური გადაწყვეტების უზრუნველყოფის საჭიროება იწვევს მონაწილეობითი მმართველობის სქემების ჩამოყალიბებას. პარტნიორობებს შეუძლია გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიების უფრო ეფექტური მობილიზება, ვინაიდან ისინი მოქმედებენ პლატფორმების სახით, რომლის საფუძველზეც თითოეული დაინტერესებული მხარე ჩართულია კოორდინირებულ პროცესში და სტრატეგიის განხორციელების ხარჯებისა და ბენეფიტების გაზიარების სქემაში.

ამოცანა 54.01. გამოცდილებითი ტურიზმის მართვა ადგილის მართვის ორგანიზაციის საშუალებით

ადგილის მართვის ორგანიზაციის, როგორც საჯარო კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბება შეიძლება წარმოადგენდეს ცენტრალურ ელემენტს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხდება სწორი გადაწყვეტილებების მიღება გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიების შემუშავებასთან, მართვასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით, შეიძლება ჩამოყალიბდეს რეგიონული ადგილის მართვის ორგანიზაციები, ძირითადი ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, სადაც შედიან მომსახურების (კულტურული ტურების ოპერატორები, სასტუმროები და კვების სექტორი და ა.შ.) და კონტენტის პროვაიდერები (კულტურის ორგანოების, როგორცაა, მუზეუმები, ობიექტები და ადგილობრივი კულტურული ასოციაციები, წარმომადგენლები). რეგიონული ადგილის მართვის ორგანიზაცია იმოქმედებს, როგორც პლატფორმა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობისთვის ტურიზმის სტრატეგიაში მათი პარტნიორობად გარდაქმნაში. ამ ორგანიზაციებში რეგიონულმა მთავრობამ უნდა შეასრულოს მაკოორდინირებელი როლი და რეგიონული და ადგილობრივი სტრატეგიები დააკავშიროს ქვეყნის ფაქტორებთან.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ადგილის მართვის ორგანიზაციების, როგორც საჯარო კერძო პარტნიორობების ჩამოყალიბება რეგიონულ დონეზე სხვა საჯარო კერძო პარტნიორობების, როგორც ადგილობრივი გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიების განხორციელების</p>	<p>– ადგილობრივი ინსტიტუციონალური კაპიტალის მობილიზება/თანამშრომლობის ზრდა გამოცდილებითი ტურიზმის მართვისთვის</p>





<p>ჰორიზონტალური პლატფორმების ხელშეწყობა</p>	<ul style="list-style-type: none"> – გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიების განხორციელების ხარჯებისა და სარგებლის გაზიარება
---	---

ამოცანა S4.02. ადგილების ბრენდირებისა და ბრენდის იდენტობის ხელშეწყობა

ბრენდირება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მიმდინარე და სავარაუდოდ, დაუსრულებელი პროცესი კოლექტიური იდეის განხორციელების მცდელობისა, რომელიც აუთენტურად წარმოადგენს ადამიანების ინტერესებს, რომლებიც მას ახორციელებენ. ის უნდა ეფუძნებოდეს გამაერთიანებელი იდენტობის შექმნის იდეას, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ პირთა ინტერესებს და ხელს უწყობს თითოეული წევრის აქტივობებს.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ბრენდის იდენტობის შექმნა რეგიონის ადგილებისთვის და გამოცდილებითი შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის ბრენდის შექმნა</p> <p>ტექნოლოგიების გამოყენება შავი ზღვის აუზის საბერძნეთის რეგიონის ბრენდის მარკეტინგისთვის/პოპულარიზაციისთვის</p> <p>ვებ პლატფორმის, როგორც საბოლოო მომხმარებლებისთვის /ვიზიტორებისთვის მარკეტინგის ინსტრუმენტის გაშვება, პროდუქტების, რესურსების შესახებ ინფორმაციით, რუკების ჩათვლით</p>	<ul style="list-style-type: none"> – ადგილის თვალსაჩინოებისა და გამოცდილებითი ტურიზმის შესაძლებლობების ზრდა – კოორდინირებული მარკეტინგის აქტივობები კონკურენტუნარიანი უპირატესობების შენარჩუნებისა და გაფართოების უზრუნველსაყოფად

ამოცანა S4.03. ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის საქმიანი კონტაქტების დამყარება და თანამშრომლობა

ფართო და გრძელვადიანი ინოვაციები, რომლებსაც აქვთ იმის პოტენციალი, რომ ტურიზმის ინდუსტრიამ ძლიერი ნიშა შექმნას, საჭიროებს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რასაც დროთა განმავლობაში შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ახალ ტურისტულ პროდუქტებში. ადგილობრივ თანამშრომლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს საკმარისი კრიტიკული მასის შესაქმნელად, ხოლო გლობალური თანამშრომლობა ხელს უწყობს i) დამატებით ცოდნასა და რესურსებთან წვდომის მიღებას; ii) საერთაშორისო ბაზრებთან წვდომასა და შეღწევას; iii) ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ტურისტული პროდუქტის შეთავაზებას. გარდა ამისა, ახალი მხარეები და პროფესიონალები წახალისებულ უნდა იქნან ინოვაციურ პროექტებში ჩასართავად. ეს შემოიტანს ახალ იდეებს, განსხვავებულ მსოფლმხედველობას, დამატებით ცოდნასა და რესურსებს და ამგვარად, გაზრდის ინოვაციების შექმნის შანსს. ამოცანა მდგომარეობს სასწავლო და ინოვაციის პროცესების





გაფართოებას ტურიზმის ინდუსტრიის ვიწრო განსაზღვრებების მიღმა და სხვა შესაბამისი კომპეტენციის სფეროების დამატებას, მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ახალი საშუალებების, კულტურისა და ხელოვნების, არქეოლოგიის, საზღვაო ბიოლოგიის, მედიცინისა და ა.შ. სფეროებში.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ადგილობრივი ტურისტული ქსელების (კლასტერების) ჩამოყალიბება და ფუნქციონირება</p> <p>ახალი „მოთამაშეების“ და კომპეტენციის სფეროების წახალისება ინოვაციის პროექტებში ჩასართავად</p> <p>ერთობლივი ბრენდირების შექმნა კონკრეტული თემატური მარშრუტებისთვის (მაგალითად, ღვინის მარშრუტი, ალუბლების მარშრუტი, გასტრონომიული მარშრუტი და ა.შ.)</p>	<ul style="list-style-type: none"> – ადგილობრივი ეკოსისტემის ჩამოყალიბება გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში – ადგილობრივი ეკოსისტემის ინოვაციურობის გაუმჯობესება – ადგილების თვალსაჩინოების გაუმჯობესება.

ამოცანა S4.O4. მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა გამოცდილებითი ტურიზმის ხელშეწყობისთვის

თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებში კერძო და საჯარო სექტორებს შორის, ბიზნესისა და კვლევის სფეროებს შორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ხელს უწყობს ინოვაციებს ტურიზმში ზოგადად, კონკრეტულ რეგიონში ან კონკრეტულ თემატურ საკითხთან მიმართებაში. ეს არსებითად შეუწყობს ხელს ჩარევების ზემოქმედებასა და მდგრადობას.

ქმედებები	შესაძლო შედეგები
<p>ორმხრივი შეთანხმებების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს საჭირო კოორდინაციას მოსაზღვრე რეგიონის ერთობლივი განვითარებისთვის</p> <p>დაინტერესებულ მხარეთა შორის საქმიანი კონტაქტების დასამყარებელი რეგულარული ღონისძიებების ჩამოყალიბება</p>	<ul style="list-style-type: none"> – აუცილებელი პლატფორმის შექმნა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების, ტურისტების შემოდინებისა და ერთობლივი ტურისტული პროდუქტების შეთავაზების უზრუნველსაყოფად. – საზღვრებს გარეთ დაინტერესებულ მხარეებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესება და რეგულარული ურთიერთქმედებისთვის პლატფორმის შეთავაზება



სავარაუდო ფინანსური რესურსები და დაინტერესებული მხარეები

ფინანსური რესურსები

წინამდებარე რეგიონულ სამოქმედო გეგმაში შეტანილი ქმედებების დაფინანსების ორი ძირითადი რესურსია ა) 2021-2027 წწ. განვითარების პლატფორმის შესახებ ახალი საპარტნიორო შეთანხმება და 2021-27 წწ. რეგიონული საოპერაციო პროგრამები და ბ) საბერძნეთის აღდგენისა და მდგრადობის გეგმა. განვითარების პლატფორმის შესახებ საპარტნიორო შეთანხმება წარმოადგენს საბერძნეთში განვითარების მთავარ სტრატეგიულ გეგმას ევროპის სტრუქტურული და საინვესტიციო ფონდებიდან მიღებული მნიშვნელოვანი რესურსების გამოყენებით. ამჟამად, საპარტნიორო შეთანხმება არაა დასრულებული. რეგიონული საოპერაციო პროგრამები წარმოადგენს ძირითად ფინანსურ პროგრამებს რეგიონული და ადგილობრივი მასშტაბის ქმედებებისა და ჩარევებისთვის. ორი რეგიონის - ცენტრალური მაკედონიისა და აღმოსავლეთ მაკედონიის და თრაკიის რეგიონული საოპერაციო პროგრამები კონსულტირების პროცესშია და მათი პოლიტიკის ვარიანტები ჯერ არაა გამოქვეყნებული. საბერძნეთის აღდგენისა და მდგრადობის გეგმა ოთხი ძირითადი ელემენტისგან შედგება: გამწვანება, ციფრული ტრანსფორმაცია, დასაქმება, უნარ-ჩვევებისა და საზოგადოების ერთიანობა, კერძო ინვესტიციები და ეკონომიკური და ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია. რეგიონული სამოქმედო გეგმისთვის რელევანტული პოლიტიკის ვარიანტები და ქმედებები განხილვის პროცესშია და ქვემოთაა აღწერილი.

განვითარების პლატფორმის შესახებ საპარტნიორო შეთანხმება, 2021-2027

პოლიტიკის ამოცანები	პოლიტიკის ვარიანტები
<p>პოლიტიკის ამოცანა 1 “უფრო ჭკვიანი ევროპა ინოვაციური და ჭკვიანური ეკონომიკური ტრანსფორმაციის ხელშეწყობით“</p>	<ul style="list-style-type: none"> • არატექნოლოგიური ინოვაციების (მაგალითად, ტურიზმსა და კულტურაში) შემუშავების/მიღების მხარდაჭერა, ინოვაციური მეწარმეობის მხარდასაჭერად მექანიზმების ჩამოყალიბება (ინოვაციების სააგენტო) • ტურიზმის სექტორის მხარდაჭერა ციფრული ტექნოლოგიებით შექმნილ ახალ პირობებში • მცირე და საშუალო საწარმოებსა (მაგ. კლასტერებს) ან/და მსხვილ კომპანიებს შორის პარტნიორობის წახალისება გლობალურ ბაზრებსა და ღირებულებათა ჯაჭვებთან წვდომის გასამარტივებლად (ინტერნაციონალიზაცია)
<p>პოლიტიკის ამოცანა 5 “ევროპის დაახლოება თავის მოქალაქეებთან, ურბანული, სასოფლო და სანაპირო ტერიტორიების მდგრადი და</p>	<ul style="list-style-type: none"> • მდგრადი ურბანული განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიები • სანაპირო, სასოფლო, კუნძულიანი, მთიანი ტერიტორიების განვითარების ინტეგრირებული სტრატეგიები: ა) ჩარევები, რომლებიც ხელს უწყობს კულტურულ მემკვიდრეობის მდგრად განვითარებას, მასთან წვდომასა და



<p>ინტეგრირებული განვითარების ხელშეწყობითა და ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერით“</p>	<p>პოპულარიზაციას; ბ) ჩარევა ტერიტორიებზე, რომლებიც სივრცულ და თემატურ მთლიანობას ავლენს, ადგილობრივი მახასიათებლების გამოყენების შესაძლებლობით, როგორცაა, კულტურული და ტურისტული აქტივობა</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტეგრირებული სივრცული სტრატეგიები განხორციელდება სივრცული ინსტრუმენტების გამოყენებით - ინტეგრირებული ტერიტორიული ინვესტირება (ITI) და ადგილობრივი განვითარება ადგილობრივი საინიციატივო თემებით (TAPTOK).
--	--

საბერძნეთის აღდგენისა და მდგრადობის გეგმა

მიმართულება	ქმედებები
<p>მიმართულება 1.4 “რესურსების მდგრადი გამოყენება, მდგრადობა კლიმატის ცვლილების მიმართ და ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია“ (საყრდენი 1)</p>	<ul style="list-style-type: none"> • საბერძნეთის ეკონომიკისა და საზოგადოების წარმატების/კეთილდღეობისა და მდგრადობის ხელშეწყობა • გარემოსა და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება • შეთავაზებულმა ინვესტიციებმა მოსალოდნელია შექმნას ახალი სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ხელი შეუწყოს სასოფლო ტერიტორიებზე მდგრად განვითარებას, მათ შორის, ეკოტურიზმის ხელშეწყობით.
<p>მიმართულება 2.2 “სახელმწიფოს ციფრული ტრანსფორმაცია“ და მიმართულება 2.3 “ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სექტორების, როგორცაა ტურიზმი და კულტურა, გაციფრულება • კომპანიების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზრდა, საბერძნეთისა და ევროპის მცირე და საშუალო საწარმოებს შორის ციფრული უთანაბრობის შემცირებით
<p>მიმართულება 4.6 “ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური სექტორების მოდერნიზაცია და მოქნილობის გაუმჯობესება“ (საყრდენი 4)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკის იმ ძირითადი დარგების კონკურენტუნარიანობის, მწარმოებლურობისა და მოქნილობის გაუმჯობესება, სადაც საბერძნეთს კონკურენტული უპირატესობა აქვს და რომელზეც არაპროპორციულად ახდენს გავლენას პანდემია, მაგ. ტურიზმი და კულტურა • კულტურასა და ტურიზმს და „ვერცხლისფერ“ ტურიზმს შორის კავშირების ხელშეწყობა • ტურიზმის ალტერნატიული ფორმების ხელშეწყობა, როგორცაა, სამთო, რელიგიური და საზღვაო ტურიზმი. მათი ხელშეწყობა მოხდება საბერძნეთის ტურიზმის დივერსიფიკაციისთვის, სეზონურობის შემცირებისა და შემოსავლების გასაზრდელად.



ძირითადი დაინტერესებული მხარეები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტურიზმისა და კულტურული მემკვიდრეობის უფრო ფართო სფეროებში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიმოხილვა. ისინი წარმოდგენილია მათი საწყისი დონის (სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი) და მათი საკუთრების სტატუსის (სახელმწიფო, კერძო) შესაბამისად.

	სახელმწიფო	კერძო
სახელმწიფო დონე	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის ეროვნული ორგანიზაცია • ტურიზმის სამინისტრო • კულტურის სამინისტრო • ბერძნული ფოლკლორის კვლევითი ცენტრი, ათენის აკადემია 	<ul style="list-style-type: none"> • საბერძნეთის სასტუმროს მფლობელთა ფედერაცია • საბერძნეთის სასტუმროთა პალატა/ტურიზმის კვლევითი ცენტრი • საბერძნეთის ტურიზმის კონფედერაცია (SETE) • კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები • საბერძნეთის აგროტურიზმის ასოციაცია • საბერძნეთის ტურისტული და სამოგზაურო სააგენტოების ასოციაცია
რეგიონული დონე	<ul style="list-style-type: none"> • ცენტრალური მაკედონიის რეგიონი, ტურიზმის დირექტორატი • აღმოსავლეთ მაკედონიისა და თრაკიის რეგიონი, ტურიზმის დირექტორატი • მაკედონია-თრაკიის ფოლკლორისა და ეთნოლოგიური მუზეუმი • ანტიკურობის ადგილობრივი ეფორატები • რეგიონული უბნების ტურისტული ოფისები 	<ul style="list-style-type: none"> • მაკედონიის კვლევების საზოგადოება
ადგილობრივი დონე	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მუნიციპალიტეტები 	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი კულტურის ასოციაციები

<ul style="list-style-type: none"> • ანტიკურობის, ბიზანტიის ანტიკურობისა და თანამედროვე ძეგლების ადგილობრივი ეფორატები • ადგილობრივი არქეოლოგიური და სხვა ადგილობრივი თემატიკური მუზეუმები (ქალაქის მუზეუმების, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული მუზეუმებისა და ა.შ.) ჩათვლით • დაცული ტერიტორიების მართვის ორგანოები • ადგილობრივი ორგანოების ტურიზმის სამსახურები • კულტურის ადგილობრივი ცენტრები • ადგილობრივი უნივერსიტეტები და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები • ადგილობრივი ტურიზმის სამსახურები 	<ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის სფეროში მოქმედი კერძო საწარმოები, შემდეგი მიმართულებებით: <ul style="list-style-type: none"> ○ საცხოვრებლით უზრუნველყოფა ○ გამოცდილება ○ ველოტურები ○ თემატური ტურები და ტუროპერატორები ზოგადად ○ რესტორნები/გასტრონომია • კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები • ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერის ორგანიზაციები • ადგილობრივი ფესტივალების ორგანიზატორი ორგანოები
---	--



რეგიონული სამოქმედო გეგმა: შავი ზღვის აუზის რეგიონი

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი შავი ზღვის აუზის რეგიონში

შავი ზღვის აუზის რეგიონი ცნობილია თავისი საოცარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, რომელიც შეთავსებულია ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და უნიკალურ თემებთან, მათი გამორჩეული მსოფლმხედველობით, წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით (ENI CBC Black Sea Basin Programme 2014-2020, 2020). ეს სიმდიდრე, შერწყმული ლამაზ პეიზაჟებსა და რბილ, სასიამოვნო ამინდთან, უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს ტურისტული აქტივობებისთვის და რეგიონს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ტურისტულ მიმართულებად აქცევს.

საჭიროებათა შეფასების ანგარიშის მიხედვით, ტურიზმი და მასპინძლობა ძირითად სექტორებს წარმოადგენს შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების უმეტესობისთვის, და ხელს უწყობს მათ ეკონომიკურ კეთილდღეობასა და დასაქმებას. ტურიზმის ინდუსტრიაზე შავი ზღვის აუზის რეგიონის 12 ქვეყანაში (სომხეთის, აზერბაიჯანის, ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ალბანეთის, საბერძნეთის, სერბეთისა და თურქეთის ჩათვლით) მოდიოდა 78.39 მილიონი აშშ დოლარი 2019 წელს ან ევროპის შემოსავლების 13.6% (UNWTO, 2020) და მდგრადი განვითარებით ხასიათდებოდა ბოლო წლებში (UNWTO, 2018). სამწუხაროდ, 2020 წელმა მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა რეგიონი. ვიზიტორთა რაოდენობა რადიკალურად შემცირდა (70%-ით ევროპაში და 74%-ით გლობალურად), ხოლო სექტორი ჯერ კიდევ განიცდის სამგზავრო შეზღუდვებითა და შეზღუდული მოხილობით გამოწვეულ სირთულეებს (UNWTO, 2021). ბუნებრივია, რომ შავი ზღვის აუზის რეგიონში ყურადღება მიმართული იქნება COVID19 პანდემიის შემდგომ აღდგენით ღონისძიებებზე. გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დღის წესრიგში შეტანილი სხვა მნიშვნელოვანი მიზნები მოიცავს მდგრადობისა და რეგიონული განვითარებისკენ სწრაფვას.

გამოცდილებითი ტურიზმი, როგორც ინოვაციური, ინკლუზიური და ეკოლოგიურად უსაფრთხო კონცეფცია ბუნებრივად შეესაბამება შავი ზღვის აუზის რეგიონის ტურიზმის პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებს. ის იძლევა ტურისტულ ბაზარზე ახალი ტიპის შეთავაზებების შემუშავებისა და რეგიონის რეპოზიციონირების შესაძლებლობას. გამოცდილებითი ტურიზმი უბიძგებს საერთაშორისო ვიზიტორებს მსოფლიოში ნაკლებად ცნობილი ახალი რესურსებისა და კულტურული ფასეულობების ხელახალი აღმოჩენისკენ. მას აქვს პოტენციალი, გარკვეული სარგებელი მოუტანოს ტურისტებს და მასპინძელ თემებს და ამგვარად, უზრუნველყოს რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობა.

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებით ტურიზმი კონცეპტუალიზაციისა და გაცნობის საწყის ეტაპზეა შავი ზღვის აუზის რეგიონში და გლობალურ დონეზე. აქედან გამომდინარე, ის არაა განსაზღვრული, როგორც გამორჩეული თემატური მიმართულება ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებისა ან ეროვნული



ორგანოების დღის წესრიგში. დარგის განვითარებას ასევე საფრთხეს უქმნის თანმიმდევრული და სინქრონიზებული ტურისტული პოლიტიკის არარსებობა ევროპულ დონეზე, რადგანაც შავი ზღვის აუზის რეგიონის თითოეულ სახელმწიფოს განსხვავებული რეგულაციები აქვს. თუმცა, ოპერატორებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა წამახალისებელი საშუალებები კულტურული მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის კონსერვაციის, დაცვისა და პოპულარიზაციის კუთხით. გარდა ამისა, ევროკავშირი და ეროვნული განვითარების პროგრამები მიესაღმება ინოვაციებს ბიზნესისა და მომსახურების სფეროში და მნიშვნელოვან დაფინანსებას გამოყოფენ, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებით ტურიზმის საჭიროებებისთვის.



- რეგიონი სპეციალიზებულია ტურისტული შეთავაზებების კუთხით. დროთა განმავლობაში მან მნიშვნელოვანი ტურისტული სუპერსტრუქტურა შექმნა (სასტუმროები, რესტორნები, ტურისტული საინფორმაციო ცენტრები, გალერეები, მუზეუმები და სხვა ღირშესანიშნაობები). ქვეყნების უმეტესობას კარგად განვითარებული საჰაერო ტრანსპორტისა და სარკინიგზო სისტემები აქვთ.
- სტამბულის აეროპორტი წარმატებითაა წარმოდგენილი, როგორც გლობალური ტრანსპორტირების ცენტრი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ახორციელებს ფრენებს.
- ტურიზმს, როგორც სექტორს, ძლიერი მხარდაჭერა აქვს შავი ზღვის აუზის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში (Akova & Baynazoğlu, 2012). არსებობს გამოცდილებით ტურიზმში მეწარმეობის დაფინანსების მრავალი საშუალება, ევროკავშირის სახსრებისა და ეროვნული ტურიზმის ორგანოების მიერ ინიცირებული ტურიზმის განვითარების პროგრამების ჩათვლით.
- სპეციალური ინტერესის ტურიზმი (კულტურული ტურიზმის ჩათვლით) შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების ტურისტული პოლიტიკის პრიორიტეტებს შორისაა (მაგალითები: მოლდოვა (Ecological Counseling Center Cahul, 2012), ბულგარეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი (Anon., 2016),
- ტექნოლოგიური განვითარების დამაკმაყოფილებელი დონე, ინტერნეტ-კავშირისა და ონლაინ ვაჭრობის ჩათვლით შავი ზღვის აუზის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში (Adrian, 2017),
- მიმზიდველი შრომის ბაზარი და სექტორში დასაქმების კარგი პერსპექტივები. მაგალითად, თურქეთი სექტორში ახალგაზრდების დასაქმების მაღალ მაჩვენებლებზე მიუთითებს (Ozdemir & Demirel, 2018).

სუსტი მხარეები

შავი ზღვის აუზის რეგიონის, როგორც გამოცდილებითი ტურიზმის მიმართულების, განვითარება რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშეა:

- ცნების „გამოცდილებითი“ და „მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმი“ ზოგადი გაგების არარსებობა,
- ტურიზმის დაგეგმვისა და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სამომავლო განვითარების სტრატეგიული გეგმების არარსებობა ან სიმცირე,
- ეფექტური მარკეტინგული პოლიტიკის არარსებობა (მოლდოვის, რუმინეთის, ბულგარეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის შემთხვევაში),
- ძლიერი ფოკუსი საზღვაო დასვენების ტურიზმზე (მაგალითები: თურქეთი და ბულგარეთი), რაც აფერხებს ტურიზმის ალტერნატიული ფორმების განვითარებას (მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ჩათვლით),



- რეგიონმა შეიძლება გამოიწვიოს იაფფასიანი და დაბალი ხარისხის ტურისტული მიმართულების არასასურველი ასოციაცია. ზოგიერთი ქვეყანა ატარებს პოსტ-კომუნისტურ (უკრაინა, ბულგარეთი, მოლდოვა) ან ომის შემდგომ ტვირთს (უკრაინა, სერბეთი, სომხეთი) ან იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შემფოთებას რადიოაქტიურობის შესაძლო მაღალი დონის გამო (უკრაინა) (Karabaza, et al., 2020),
- ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორებში შეუმჩნეველი ეკონომიის მაღალი წილი და
- აღმამფოთებელი კორუფცია გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში (Ozdemir & Demirel, 2018), რაც საფრთხეს უქმნის შეთავაზების ხარისხს,
- არასათანადოდ განვითარებული მომსახურების სექტორი ისეთი ქვეყნების შემთხვევაში, როგორცაა, მოლდოვა, უკრაინა, ალბანეთი, რუმინეთი (Muresan & Popa, 2019),
- მასპინძლობის სექტორში კვალიფიციური თანამშრომლების ნაკლებობა (პრობლემა მუდმივია რუმინეთისა და ბულგარეთის შემთხვევაში),
- ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები. ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ ტურისტულ ობიექტთან მისასვლელი მაღალი ხარისხის გზების არარსებობა (ბულგარეთი, რუმინეთი, მოლდოვა, უკრაინა),
- ზოგიერთი ქვეყანა, როგორცაა, რუმინეთი და მოლდოვა, ტურიზმის სექტორში ინვესტიციების დაბალ დონეს აფიქსირებს (Adrian, 2017),
- არასაკმარისი ინსტიტუციონალური პოტენციალი, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურების არარსებობა, ადგილობრივი, რეგიონალური ან ეროვნული ორგანოების ჩათვლით,
- მომსახურების მიმწოდებლებს, ორგანოებს, ადგილობრივ თემებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის ერთობლივი ქმედებისთვის ეფექტური ურთიერთქმედების არარსებობა,
- კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული რესურსების გაციფრულების დაბალი დონე,
- განათლება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში საჭიროებს მულტი-დისციპლინარულ მიდგომას, რომელიც გაერთიანებულია მომსახურებაში კომპეტენციებთან, რაც შეიძლება პრობლემური იყოს შავი ზღვის აუზის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში. გარდა ამისა, მასპინძლობისა და ტურიზმის სფეროში არსებულ სწავლებას აკლია პრაქტიკული საკითხები (ბულგარეთის, რუმინეთის, სომხეთის შემთხვევაში),
- ტურისტული შეთავაზებების სეზონურობა შავი ზღვის აუზის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში,
- ბიზნეს ინოვაციებისა და პრაქტიკული გადაწყვეტებისთვის ცოდნის არაეფექტური გადაცემა,
- სავიზო შეზღუდვები, რაც აფერხებს რეგიონშიდა მოთხოვნის ზრდას (ძირითადად ეხება ევროკავშირის არა-წევრ ქვეყნებს),



- მსხვილ საერთაშორისო ტურ-ოპერატორებზე დამოკიდებულების მაღალი დონე, რაც თრგუნავს ადგილობრივ ბიზნესს და იწვევს ფინანსების გადინებას (ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებს არ მოაქვთ სარგებელი ადგილობრივი ეკონომიკისთვის),
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისა და ზოგადად ტურიზმის სექტორის შესახებ სანდო და უახლესი ინფორმაციისა და სტატისტიკური მონაცემების არარსებობა.

შესაძლებლობები

- შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა საერთო კულტურული მემკვიდრეობის ტურისტული მარშრუტებისა და პროდუქტების შესაქმნელად,
- საერთო რეგიონული ბრენდის სტრატეგია და ერთობლივი მარკეტინგის ღონისძიებები. მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონული ალიანსის შექმნის შესაძლებლობა, შავი ზღვის აუზის რეგიონის, როგორც გამორჩეული და ცნობადი ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციისთვის,
- საზოგადოებრივი ინტერესის ზრდა და გამარტივებული წვდომა კულტურული მემკვიდრეობის არქივების ონლაინ რესურსებთან,
- ტურიზმის ახალი მიმართულებები, რომლებიც ფოკუსირებულია უნიკალურ და დასამახსოვრებელ გამოცდილებაზე, ადგილობრივ თემებთან გაზრდილ ურთიერთქმედებასა და მდგრად მოხმარებაზე,
- რეგიონის შიგნით გაზრდილი მოთხოვნა, COVID19 პანდემიით გამოწვეული საერთაშორისო მგზავრობის შემცირების შედეგად,
- ეროვნული ეკონომიკის ზრდა, რაც საცხოვრებელი უზრუნველყოფისა და სხვა სერვისების მცირე, კერძო პროვაიდერს ბაზარზე შესვლის საშუალებას აძლევს,
- რეგიონული და საერთაშორისო ინვესტიციები მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებულ ბიზნეს აქტივობებში,
- ტექნოლოგიური პროგრესი ხელს უწყობს ახალი ინტერაქტიული, ვირტუალური და ციფრული პროდუქტების შექმნას, ონლაინ მარკეტინგისა და გაყიდვების გაზრდილ ეფექტურობას,
- სოციალური მეწარმეობისა და საზოგადოების ჩართულობით ინიციატივების, მათ შორის, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული ინიციატივების, პოპულარობის ზრდა,
- საზღვარგარეთ არსებული დიდი დიასპორა სამშობლოსთან ძლიერი კავშირებით (სომხეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, თურქეთი). ვიზიტის მოტივი შეიძლება იყოს მეგობრებსა და ნათესავებთან სტუმრობა, „ფესვებთან დაბრუნება“ და ნოსტალგია.
- ევროკავშირის პოტენციური გაფართოება ისეთი ქვეყნებით, როგორცაა, თურქეთი, სერბეთი და ალბანეთი (European Commission, 2021), რაც გამოიწვევს სავიზო შეზღუდვების შემსუბუქებასა და მეტ სამგზავრო მობილობას,
- შესაძლო აფილირება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციასთან.



საფრთხეები

- COVID19 პანდემია, როგორც გლობალური საფრთხე რეგიონის მასპინძელი მოსახლეობისა და ვიზიტორების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის,
- შეზღუდული საერთაშორისო მობილობა COVID19 პანდემიის შედეგად, მკაცრი სამგზავრო შეზღუდვები და ვიზიტისთვის დამატებითი გაუთვალისწინებელი გარემოებების შექმნა, როგორცაა, სავალდებულო PCR ტესტირება, კარანტივაქცინაცია,
- მოსალოდნელი გლობალური ეკონომიკური კრიზისები,
- გლობალურ ტურიზმზე მოთხოვნის უპრეცედენტო შემცირება (2020 წელს საშუალოს 74%-ით მთელ მსოფლიოში) (UNTWO, 2021), რამაც გამოიწვია უმუშევრობა სექტორში, სასტუმროების დაბალი დატვირთულობა, დაბალი შემოსავალი, შესაძლო გაკოტრება და ამ სფეროს პოპულარობის შემცირება ახალგაზრდების მხრიდან კარიერის არჩევის თვალსაზრისით,
- ევროპულ დონეზე, სტრატეგიულ დოკუმენტში, მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის, როგორც თემატური ამოცანის, იდენტიფიცირების არარსებობა,
- გახშირებულ სტიქიურ უბედურებებსა და მკაცრ ამინდთან დაკავშირებული კლიმატური ცვლილებები,
- გარემოს დაბინძურება, გლობალური დათბობა, წყლისა და წყლის სამყაროს დაბინძურება, რაც შავი ზღვის აუზის რეგიონში ფლორისა და ფაუნის გადაშენების საფრთხეს ქმნის,
- პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, რეგიონული კონფლიქტებისა და დამაბულობის ჩათვლით,
- ძლიერი კონკურენცია ახლომდებარე ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებისა და სხვა სამხრეთ ევროპული და ჩრდილოაფრიკული ქვეყნების მხრიდან.
- ტურიზმის განვითარება საფრთხეს უქმნის ბუნებრივ გარემოს ეკოლოგიურად არამდგრად ზონებში. ეს პრობლემა არსებობს შავი ზღვის აუზის რეგიონის უმეტეს ქვეყნებში, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და საბერძნეთის ჩათვლით.
- ცვლილებები ვიზიტორთა აღქმებში, არჩევანში, საჭიროებებში, გემოვნებასა და მსყიდველობითი ქცევაში, რისი პროგნოზირებაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს.
- კვალიფიციური სამუშაო ძალის მიგრაცია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში,
- ტერორიზმის საფრთხე და ტურიზმის სექტორის მოწყვლადობა,
- ტურიზმის პროდუქტებისა და სერვისების გადასახადებით დაბეგვრა (როგორცაა, დღგ, რეალიზაციის გადასახადი, საცხოვრებლის გადასახადები, სააქციო მოსაკრებელი ალკოჰოლზე და ა.შ.), რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს რეგიონული ტურიზმის შეთავაზების კონკურენტუნარიანობას ფასის მხრივ,
- კულტურული და ეთნიკური რესურსების კომერციალიზაცია და თვითმყოფადობის დაკარგვა. მემკვიდრეობა აღიქმება, როგორც გასაყიდი საქონელი და იცვლება ტურისტების საჭიროებებისა და მოლოდინების დასაკმაყოფილებლად. უარეს შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს ეროვნული კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვა,



- ადგილობრივი თემები შეიძლება მტრულად იყონ განწყობილი ვიზიტორების მიმართ. შეიძლება დაფიქსირდეს კულტურათა კონფლიქტი მასპინძელ მოსახლეობისა და ტურისტების გარემო პირობების შესამჩნევი განსხვავების შემთხვევებში.

შესაძლო სტრატეგიული ქმედებები შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისა და ზრდისთვის

საჭიროებათა შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი და ზემოთ SWOT ნაწილში შეჯამებული ანალიზი განსაზღვრავს შავი ზღვის აუზის რეგიონის ძირითად ერთობლივ გამოწვევებსა და პრობლემებს, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, ასევე შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის მიმდინარე ტენდენციებსა და პრიორიტეტებს (ENI CBC Black Sea Basin Programme 2014-2020, 2020), როგორცაა:

- ✓ კრიზისის შემდგომი აღდგენა,
- ✓ ფოკუსი მდგრადობაზე,
- ✓ ლურჯი ეკონომიკა,
- ✓ ჭკვიანური ინოვაციები და გაციფრულება,
- ✓ გლობალური კლიმატური ცვლილება

უფრო ფართო სტრატეგიული პროგრამისა და შესაბამისი პოლიტიკის კონტექსტის გათვალისწინებით, როგორცაა:

- ✓ ევროპა 2020: ევროპული სტრატეგია ჭკვიანური, მდგრადი და ინკლუზიური ზრდისთვის
- ✓ ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობის სტრატეგია და მოსაზღვრე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის როლი
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივები
- ✓ ლურჯი ზრდის სტრატეგია
- ✓ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა
- ✓ ევროკავშირის სტრატეგია დუნაის რეგიონისთვის

შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმის წინადადება ქვემოთაა მოცემული.



ცხრილი 1: შავი ზღვის აუზის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მდგრადი ზრდის ხელშეწყობაზე მიმართული საორიენტაციო პოლიტიკის ქმედებებისა და ჩარევების გზამკვლევი

#	სტრატეგიულ ქმედება	სტრატეგიულ ქმედების მიზან(ებ)ი	სტრატეგიულ ქმედების შესაძლო შედეგ(ებ)ი	შესაძლო პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
რეგიონულ დონეზე				
1.	ერთობლივი ძალისხმევა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონული პოლიტიკის შემუშავება ➤ ურთიერთქმედებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაუმჯობესება ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტების შეთავაზებისა და მიწოდების გამლიერება ➤ ტურიზმის გლობალურ ბაზარზე რეგიონის 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ➤ დაინტესებული მხარეებისა და მათი ჩართულობის, ასევე სამოქმედო გეგმისა და გეგმა-გრაფიკის განსაზღვრა ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებში სათანადო პრაქტიკის გავრცელება, ცოდნისა და ინოვაციების გადაცემა ➤ ტრანს-სასაზღვრო კულტურული თემატური მარშრუტების შემუშავება, მაგალითად: ღვინის, კულინარიული, უძველესი ცივილიზაციების, ძველი ციხე-სიმაგრეების და ა.შ. ➤ გადასახადებისგან გათავისუფლება და სხვაგვარი შემსუბუქება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონული 	<p>მთავრობები და სახელმწიფო ორგანოები</p> <p>რეგიონული და სახელმწიფო ასოციაციები</p> <p>კულტურის დაწესებულებები</p> <p>მომსახურების მიმწოდებლები</p>



		<p>კონკურენტუნარიანობის გაზრდა</p>	<p>პროდუქტების ფასების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ რეგიონული კულტურული რესურსების ციფრული არქივის წარმოება, არამატერიალური აქტივების ჩათვლით, როგორცაა, რეცეპტები, ფოლკლორი, ხელოვნება, რეწვა და ა.შ. ➤ რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ერთობლივი მართვა ➤ სახელმწიფოთაშორისო ერთობლივი საწარმოები, სოციალური ინიციატივების ჩათვლით ➤ ინოვაციური ერთობლივი პროდუქტებისა და სერვისების შემუშავება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისა და სხვა სანაპირო და საზღვარო აქტივობებს შორის კოორდინაციის ხელშეწყობისთვის (წყალქვეშა არქეოლოგია, აკვაკულტურა, და სათევზაო ტურიზმი, სპა, სპორტი და დასვენება და ა.შ.). ➤ საქმიანი კონტაქტების დამყარების ღონისძიებები და აქტივობები სხვადასხვა ქვეყნებიდან კომპანიების დასაკავშირებლად. ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის რეგიონული სავაჭრო გამოფენის დაგეგმვა და ჩატარება 	<p>საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრები</p>
--	--	------------------------------------	---	---

<p>2.</p>	<p>შავი ზღვის აუზის რეგიონის, როგორც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისთვის დანიშნულების ადგილის ერთობლივი პოპულარიზაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის კულტურული რესურსებისა და მემკვიდრეობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება ➤ გაუმჯობესებული ბრენდის იმიჯი ➤ შემოსავლებისა და ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა ➤ ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ რეგიონულ დონეზე მარკეტინგის ერთობლივი ღონისძიებებისთვის ალიანსის ან რეგიონული ქსელის შექმნა ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისთვის რეგიონული ბრენდირების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ➤ სახელმწიფო და საერთაშორისო საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია სხვადასხვა მედია საშუალებებით, ონლაინ არხების, სოციალური მედიის, მასმედიის, აკადემიური ჟურნალების ჩათვლით ➤ მონაწილეობა საერთაშორისო ტურიზმის სავაჭრო გამოფენებში ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პოპულარიზაციისთვის შავი ზღვის აუზის რეგიონის ყველა ქვეყანაში ღონისძიებების, სემინარებისა და მოვლენების მომზადება და ჩატარება ➤ რეგიონის შიდა ტურიზმის წახალისება სპეციალური სარეკლამო კამპანიებით, რომლებიც მიმართულია შავი ზღვის აუზის რეგიონის პარტნიორების კულტურული ღირსეისანიშნაობებისა და შეთავაზებების წარმოდგენაზე ➤ შავი ზღვის რეგიონში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისადმი მიძღვნილი ვებსაიტის შემუშავება და მხარდაჭერა 	<p>სახელმწიფო ორგანოები/სამინისტროები ტურიზმისა და კულტურის მიმართულებით მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის ეროვნული ასოციაციები ბიზნეს ოპერატორები კვლევითი დაწესებულებები სარეკლამო სააგენტოები</p>
-----------	--	---	---	---

<p>3.</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში ერთობლივი კვლევის, განათლებისა და სწავლების ინიციატივები</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და რეგიონული ანალიზის წახალისება ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლება ➤ ცოდნის გადაცემა და სათანადო პრაქტიკის გავრცელება ➤ გაძლიერებული სამუშაო ბაზარი გაუმჯობესებული დასაქმებით, გამოცდილებით, პიროვნული თვისებებით და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული კომპეტენციებით ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებს შორის კულტურათშორისი გაცვლა ➤ უცხო ენის გაუმჯობესებული ცოდნა, შავი ზღვის აუზის 	<ul style="list-style-type: none"> ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებში კვლევით და აკადემიურ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა კულტურული, ეთნოგრაფიული და კულინარიული მემკვიდრეობის, ხელოვნებისა და პრაქტიკის ერთობლივი პროექტებისა და კვლევებისთვის ➤ ერთობლივი კვლევის ინფრასტრუქტურის შექმნა. სახელმწიფოთაშორისი ცოცხალი ლაბორატორიისა და ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული კვლევებისა და შემუშავების მხარდასაჭერად ➤ სემინარები და ღონისძიებები შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული აქტივობებისა და პროდუქტების განხილვისთვის, ცოდნის გავრცელებისა და სათანადო პრაქტიკის გადაცემისთვის საერთაშორისო მოწვეული ლექტორებისა და სპეციალისტების მონაწილეობით ➤ შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში შავი სასწავლო გაცვლების ინიციატივები და სტაჟირებები ➤ ენის კურსები და ენის შესასწავლი არდადეგები ადგილობრივი ენის მატარებლების გარემოცვაში პრაქტიკის შესაძლებლობით 	<p>აკადემიური და კვლევითი დაწესებულებები</p> <p>მთავრობები, სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები</p> <p>პროფესიული განათლების ცენტრები</p> <p>ადამიანური რესურსების სააგენტოები</p> <p>ბიზნეს ოპერატორები</p>
-----------	--	---	--	--



		<p>ქვეყნების ადგილობრივი ენების ჩათვლით</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ საერთაშორისო სამუშაო გამოცდილებისთვის შესაძლებლობების უზრუნველყოფა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების კულინარიული გამოცდილების, ფოლკლორის, ხელოვნებისა და რეწვის გაზიარება სპეციალურად შემუშავებულ ინტერნეტ პლატფორმებზე, ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე და მოკლევადიან სასწავლო ვიზიტებზე. ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის კვლევითი რეგიონული კონფერენციის ორგანიზება ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ექსპერტებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის შემუშავება 	
სახელმწიფო დონეზე				
1.	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა და სახელმწიფო პოლიტიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის, როგორც მდგრადი განვითარების ინსტრუმენტის იდენტიფიკაცია, აღიარება და პრიორიტეტიზაცია ➤ დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა, ქმედებების განხორციელება და 	<ul style="list-style-type: none"> ➤ სტრატეგიების, სამოქმედო გეგმების, შესაბამისი რეგულაციებისა და საკანონმდებლო დოკუმენტების შემუშავება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებისთვის ➤ დაინტერესებული მხარეების, მათი პასუხისმგებლობებისა და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებაში ჩართულობის დეტალიზაცია ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განსაზღვრა და ჩართვა 	<p>სახელმწიფო მთავრობები</p> <p>ტურიზმის საბჭოები ან საკონსულტაციო საბჭოები ყველა შესაბამისი დაინტერესებულ ი მხარის</p>



		<p>პასუხისმგებლობის სფეროების განსაზღვრა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესაბამისი დაწესებულებებისა და სამთავრობო ორგანოების ჩართვა მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვასა და შემუშავებაში ➤ ეროვნული მარეგულირებელი ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან 	<p>შესაბამის კანონმდებლობაში (მაგალითად: ტურიზმის შესახებ კანონში)</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ნორმებსა და რეგულაციებთან 	<p>წარმომადგენლი თ</p>
<p>2.</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა ხელსაყრელი ბიზნეს და სოციალური გარემოს შექმნით</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ ბიზნეს საქმიანობის წახალისება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში ➤ გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტის შექმნაში თემის მონაწილეობის წახალისება ➤ ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციონალური ღონისძიებები მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული 	<ul style="list-style-type: none"> ➤ სტარტ-აპების დაფინანსება, ტექნიკური მხარდაჭერა და კონსულტაციები ➤ სახსრების, როგორცაა გრანტები, ჯილდოები, სესხები და დაფინანსების სხვა ინსტრუმენტების, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროში ინვესტიციების წახალისება ➤ გადასახადების შემსუბუქება მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტებისა და სერვისებისთვის ➤ ინოვაციების წახალისება ➤ სატრანსპორტო, საინჟინრო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ტექნიკური მომსახურება. კულტურის ობიექტებთან წვდომის, 	<p>სახელმწიფო მთავრობები /შესაბამისი ორგანოები</p> <p>მომსახურების მიმწოდებლები</p> <p>პროდუქტის ასოციაციები</p>



		<p>გამოცდილებითი ტურიზმის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმთან დაკავშირებული კვლევისა და შემუშავების, ინოვაციებისა და ჭკვიანური გადაწყვეტების წახალისება ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სფეროს თანამშრომელთა დასაქმების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლება 	<p>ელექტროენერჯისა და წყლის მიწოდების, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის და ა.შ. უზრუნველყოფა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ინსტიტუციონალური პოტენციალის განვითარება (ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები, ადგილობრივი ორგანოები, პროდუქტის ასოციაციები და ა.შ.) ➤ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობების ჩამოყალიბება ➤ ბიზნეს საქმიანობის უფრო მკაცრი მონიტორინგი და კონტროლი, როგორც „ჩრდილოვანი“ ეკონომიკისგან დაცვის მექანიზმი ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის პრაქტიკოსების ტრენინგი და ინფორმირება ➤ საინფორმაციო კამპანია ადგილობრივ თემებში მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული ტურიზმის პოპულარიზაციისთვის და კულტურულ გაცვლასა და ვიზიტორებთან პირად კომუნიკაციაში მოხალისეთა მონაწილეობის მოტივირება 	
3	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ზრდისა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის 	<ul style="list-style-type: none"> ➤ გაძლიერებული პროდუქტის პორტფელი, გამოცდილებაზე დაფუძნებული რიგი პაკეტების ჩათვლით ➤ მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა. მონიტორინგისა და კონტროლის უზრუნველყოფა ➤ აუცილებელი ტურისტული ინფრა- და სუპერსტრუქტურის შექმნა, როგორცაა, საცხოვრებელი ადგილები, კვების ობიექტები, მუზეუმები, გალერეები, თეატრები, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრები და ა.შ. 	<p>სახელმწიფო ორგანოები/ტურიზმის სამინისტრო/კულტურის სამინისტრო</p>



	<p>ძლიერი შეთავაზებისთვის</p>	<p>კონკურენტუნარიანობის გაძლიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება 	<ul style="list-style-type: none"> ➤ უფრო სპეციალიზებული კულტურული ღირშესანიშნაობებისა და ღონისძიებების შექმნა ➤ პროდუქტის ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის გადაცემის წახალისება ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტების გაციფრულება და ვირტუალური გამოცდილების ონლაინ შეთავაზების შექმნა ➤ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის სერტიფიცირებისა და მარკირების უზრუნველყოფა ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროვაიდერებს, მიმწოდებებს, დაწესებულებებსა და ადგილობრივ თემებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაძლიერება ➤ კულტურასა და მემკვიდრეობაზე დაფუძნებული მატერიალური და არამატერიალური აქტივების ღირებულების ამაღლება ➤ კულტურული ღონისძიებების ორგანიზება 	<p>ტურიზმის ასოციაციები/სხვა არამომგებიანი ორგანიზაციები</p> <p>კომპანიები და მომსახურების მიმწოდებლები</p> <p>ადგილობრივი თემები</p>
<p>3</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი</p>	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება ➤ შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნების, როგორც 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ეროვნული პროდუქტის ასოციაციის შექმნა. წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პროდუქტების შექმნაში, პოპულარიზაციაში, გავრცელებასა ან მართვაში 	<p>სახელმწიფო მთავრობები და ორგანოები/</p>





Project funded by
EUROPEAN UNION



	<p>ტურიზმის ხელშეწყობა</p>	<p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის დანიშნულების ადგილების, საერთაშორისო იმიჯის გაძლიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი შიდა ტურიზმის ხელშეწყობა ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის დანიშნულების ადგილების მარკეტინგი და მართვა 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ეროვნული სარეკლამო და საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რომელიც ფოკუსირებულია მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე წარმოდგენაზე ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ობიექტებზე ვიზიტორების კონტროლი მათი მდგრადი გამოყენებისა და შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ➤ მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის პაკეტების გავრცელება პირდაპირი ონლაინ გაყიდვებისა და შუამავლების (ადგილობრივი და საერთაშორისო) შესაბამისად 	<p>ტურიზმის სამინისტრო</p> <p>ადგილობრივი ორგანოები</p> <p>მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის სახელმწიფო ასოციაციები</p>
--	----------------------------	---	---	--



დასკვნები

მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებულ გამოცდილებით ტურიზმს სამომავლო განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს და მიჩნეულ უნდა იქნას პრიორიტეტულ სექტორად შავი ზღვის აუზის რეგიონისთვის. ის უზრუნველყოფს ტურიზმის მდგრად განვითარებას, ეკონომიკურ ზრდასა და თემების ჩართულობას. შავი ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებმა უნდა გააერთიანონ ძალები რეგიონულ დონეზე მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ხელშეწყობისთვის და მისი განვითარების კოორდინირებული პოლიტიკის მიღებისთვის. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ზოგიერთი ძირითადი საკითხი მოიცავს შემდეგს:

- შავი ზღვის აუზის რეგიონის, როგორც მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმისთვის ადგილის პოპულარიზაცია,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის ძლიერი შეთავაზების შექმნა, მეზობელ ქვეყნებს შორის თემატური მარშრუტებისა და კულტურული პროდუქტების ჩათვლით,
- სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება ფასისა და ღირებულების შესანიშნავი შეფარდების უზრუნველყოფით,
- მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული აქტივების დაცვა, შენარჩუნება და ღირებულების მომატება,
- სოციალური და ბიზნეს ინიციატივებისთვის ფინანსური წახალისების, ტექნიკური დახმარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა,
- ჭკვიანური ტექნიკური გადაწყვეტების, ვებ-აპლიკაციებისა და მემკვიდრეობასა და კულტურაზე დაფუძნებული გამოცდილებითი ტურიზმის შეთავაზების, გაყიდვებისა და რეკლამის გაციფრულება,
- მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ერთობლივი საწარმოების, კვლევითი, შემუშავების, საგანმანათლებლო და სასწავლო აქტივობების ჩათვლით.



გამოყენებული მასალები

- Adrian, Ş. C., 2017. SWOT Analysis of the Romanian Tourism Market Component of the Marketing Plan. *“Ovidius” University Annals, Economic Sciences Series*, XVII(2).
- Akova, O. & Baynazoğlu, M. E., 2012. *Congress Tourism in Turkey: SWOT Analysis and Related Strategies*.
- Aliyeva, L. & Rzayeva, S. M., 2020. *The Main Directions of the Development of Tourism in the Economy of Azerbaijan*.
- Anon., 2016. *Strategic Roadmap for the Development of Specialized Tourism Industry in the Republic of Azerbaijan*.
- Associazione Strada Europea della Ceramica, 2018. *European Route of Ceramics*. [Online] Available at: <https://www.europeanrouteofceramics.eu/>
- Cultural Routes of Georgia, 2017. *Cultural Routes of Georgia*. [Online] Available at: <http://culturalroutes.gov.ge/Contact.aspx>
- Ecological Counseling Center Cahul, 2012. *Assessment of National Tourism Development Strategy - Republic of Moldova*.
- ENI CBC Black Sea Basin Programme 2014-2020, 2020. *Territorial Analysis Interreg NEXT Black Sea Basin Programme*.
- European Commission, 2021. *European Neighbourhood Policy And Enlargement Negotiations*. Available at: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/countries/check-current-status_en
- HERAS, 2014. *Submarine Archeological Heritage of the Western Black Sea Shelf*.
- Ivanov, S. & Dimitrova, M., 2013. Managing Tourism in Bulgaria, between Mission Impossible and New Hope. In: *European Tourism Planning and Organisation System*:Channel View Publications.
- Karabaza, I., Kozhukhova, T. & Ivanova, N., 2020. Development of Tourism in Ukraine: Trends and Factors that Create the Negative Image. *Scientific Conference on Economics and Entrepreneurship Proceedings*.
- Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2014-2020. *Bulgaria: A Discovery to Share*. Available at: <https://bulgariatravel.org>
- Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2014-2020. *Register of the Tourist Festivals and Events*. Available at: <http://rta.tourism.government.bg/>
- Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2015. *National Strategy for Sustainable Tourism Development of the Republic of Bulgaria, 2014-2030*.
- Ministry of Tourism of the Republic of Bulgaria, 2021. Available at: <https://www.tourism.government.bg/>
- Muresan, M. L. & Popa, R. A., 2019. Tourism Industry Evolution in Case of Bulgaria and Romania. *Studia Universitatis Babeş-Bolyai Negotia*, Volume 64, pp. 51-78.
- Ozdemir, Y. & Demirel, T., 2018. Prioritization of Tourism Strategies in Turkey Using a SWOT-AHP Analysis. *International Journal of Business and Industrial Marketing*, 3(2), pp. 34-45.
- PRO EXTOUR, 2021. *Needs Assessments Report: Setting Strategic Goals for Heritage- and Culture-based Experiential Tourism in the BSB*.



TESIM, 2018. *TESIM ENI CBC*.

UNESCO, 1992-2021. *World Heritage List*.

UNTWO, 2021. *World Tourism Barometer and Statistical Annex*.

Available at: <https://www.e-unwto.org/loi/wtobarometereng>

UNWTO, 2018. *Tourism in the BSEC Region*. s.l.:s.n.

UNWTO, 2020. *International Tourism Highlights, 2020 Edition*.

UNWTO, 2021. *World Tourism Barometer and Statistical Annex*.

USAID, 2018. <https://www.usaid.gov>.

Available at: <https://www.usaid.gov/moldova/fact-sheets/fact-sheet-moldova-competitiveness-project-tourism-industry-0>



Georgian Arts and Culture Centre

Address: Georgia, 0108 Tbilisi, 7 Niko Nikoladze str.

Phone: 995 32 2931335

E-mail: gacc@gaccgeorgia.org

Website: <http://www.gaccgeorgia.org>

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020

Georgian Arts and Culture Centre

March 2021

Joint Operational Programme Black Sea Basin 2014-2020 is co-financed by the European Union through the European Neighbourhood Instrument and by the participating countries: Armenia, Bulgaria, Georgia, Greece, Republic of Moldova, Romania, Turkey and Ukraine. This publication was produced with the financial support of the European Union. Its contents are the sole responsibility of Georgian Arts and Culture Centre and do not necessarily reflect the views of the European Union.